

სოციოლოგიური თეორიების განვითარების

გვიანდელი წლები

ძნელია ზუსტად დაადგინო აშშ სოციოლოგიური მეცნიერების დაბადების თარიღი. ობერლინში უკვე 1858 წელს ქონდათ სოციალური პრობლემების შემსწავლელი კურსი, „სოციოლოგიის“ კონტინენტური ტერმინი უკვე 1854 წლიდან იყენებდა ჯორჯ ფიცხიუ, ხოლო 1873 წელს გრეჰემ სამნერმა იეილში შემოიღო სოციალური მეცნიერების კურსი. XIX. 80-იანი წლებში „სოციოლოგიის“ სახელწოდებით გამოჩნდნენ სპეციალური კურსები. პირველი განყოფილება, რომლის სახელწოდებაში ეს ტერმინი გამოიყენებოდა დაარსდა კანზასის უნივერსიტეტში 1889წელს. 1892 წელს ალბიონ სმოლი გადადის ჩიკაგოს უნივერსიტეტში და აფუძნებს სოციოლოგიის განყოფილებას, რომელიც ზოგადად გახდება ამერიკული სოციოლოგიის, კონკრეტულად სოციოლოგიური თეორიის პირველი მნიშვნელოვანი ცენტრი.

ადრინდელი ამერიკული სოციოლოგიური თეორია

პოლიტიკა. შვენდინგერები ამტკიცებდნენ, რომ ადრინდელი ამერიკელი სოციოლოგები უმჯობესია დავახასიათოთ, როგორც პოლიტიკური ლიბერალები და არა როგორც კონსერვატორები, როგორებიც არიან ადრინდელი ევროპელი თეორეტიკოსების უმრავლესობა. ადრინდელი ამერიკული ლიბერალიზმისათვის დამახასიათებელი ლიბერალიზმი, ძირითადად ვლინდება ორ ელემენტად. ჯერ_ერთი, ის ეფუძნება პიროვნების კეთილდღეობისა და თავისუფლების რწმენას. ამ მიმართებით მასზე მეტი გავლენა იქონია სპენსერმა, ვიდრე კონტმა, რომელიც აქცენტს აკეთებდა კოლექტიურ ერთობებზე. მეორეც, მრავალი ამ მიმართულებასთან დაკავშირებული სოციოლოგი გადაიღებს საზოგადოების პროგრესზე ევოლუციონისტურ შეხედულებებს. მაგრამ ამ პროგრესის მიღწევის საუკეთესო საშუალებებთან დაკავშირებით გაჩნდნენ განსხვავებული თვალსაზრისები. ზოგიერთები ამტკიცებდნენ, რომ მთავრობამ უნდა გადადგას გარკვეული ნაბიჯები სოციალური რეფორმების მხარდასაჭერად, მაშინ, როდესაც მეორე ნაწილი იცავდა laissez-faire -ს დოქტრინას, ამტკიცებდნენ რა, რომ საჭიროა საზოგადოების გარკვეულ კომპონენტებს მიეცეს შესაძლებლობა თავად გადაჭრან თავიანთი პრობლემები.

ლიბერალიზმი თავისი უკიდურესი ფორმით ძალზე ახლოსაა კონსერვატიზმთან. და ამიტომ რწმენა სოციალური პროგრესისა და რეფორმებისა, ან ზემოთხსენებული დოქტრინისა, ან პიროვნების მნიშვნელობის აღიარება მთლიანობაში წარმოადგენს სისტემის მხარდაჭერას. ძირითად მომენტად აქ გვეძლევა რწმენა იმისა, რომ სოციალური სისტემა მუშაობს ან შესძლებს მუშაობას რეფორმის შემდეგ. მთლიანად სისტემას ნაკლებად აკრიტიკებენ; ამერიკის შემთხვევაში ეს, ნაწილობრივ, ნიშნავს კაპიტალიზმის თითქმის აბსოლუტურ რწმენას. გარდუვალი კლასობრივი ბრძოლების ნაცვლად ადრინდელი სოციოლოგები მომავალში ხედავდნენ სრულ კლასობრივ ჰარმონიასა და კლასობრივ თანამშრომლობას. არსებითად ეს ნიშნავს იმას, რომ ადრინდელი ამერიკული სოციოლოგია ხელს უწყობს ექსპლოატაციას, საშინაო და საგარეო იმპერიალიზმისა და სოციალური უთანასწორობის გამართლებას. ბოლოს და ბოლოს ადრინდელი სოციოლოგების პოლიტიკურ ლიბერალიზმს ქონდა უკიდურესი კონსერვატიული შედეგები.

ტორსტენ ვებლენი (1857-1929).

ვებლენმა, რომელიც არ იყო სოციოლოგი, უმეტესად ეკავა თანამდებობები ეკონომიკურ განყოფილებებში და იყო ეკონომიკაში არაორდინალური ფიგურა, შექმნა სოციალური თეორია, რომელსაც ქონდა საგრძნობი და ხანგრძლივი მნიშვნელობა მთელი რიგი დისციპლინებისათვის, მათ შორის სოციოლოგიისათვის. ვებლენის ცენტრალური პრობლემაა კონფლიქტი „ბიზნესსა“ და „მრეწველობას“ შორის. ბიზნესის ქვეშ ვებლენს ესმის მრეწველობის მესაკუთრეები, ხელმძღვანელები, „კაპიტნები“, რომლებიც ზრუნავენ თავიანთი კომპანიების შემოსავლებზე, მაგრამ, ფასებისა და მაღალი შემოსავლების შენარჩუნების მიზნით ხშირად ზღუდავენ წარმოებას. ამით ისინი აფერხებენ საწარმოო სისტემის ფუნქციონირებას და უარყოფითად მოქმედებენ მთლიანად საზოგადოებაზე (მაგალითად, ქმნიან უმუშევრობას), რომლისათვის საუკეთესო დახმარებაა – წარმოების პროცესში ჩაურევლობა. ამგვარად, ხელმძღვანელები გამოდიან საზოგადოების მრავალი შინაგანი პრობლემების მიზეზებად, რომლებსაც, ვებლენის აზრით, უნდა მართავდეს ადამიანები (მაგალითად, ინჟინრები), რომელთაც ესმით მრეწველობის სისტემა და ისიც, თუ როგორ ფუნქციონირებს ის და დაინტერესებული არიან საკუთარ კეთილდღეობაში.

ვებლენის მნიშვნელობა დღეისათვის ძირითადად დაკავშირებულია მის წიგნთან „წარმატებული კლასის თეორია“ (?) (1899|1994). ვებლენი აკრიტიკებს წარმატებულ კლასს, (რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ბიზნესთან) მფლანგველური მომხმარებლობისათვის ხელის შეწყობის გამო. იმისათვის, რომ მოახდინოს შთაბეჭდილება საზოგადოების დანარჩენ ნაწილზე, წარმატებული კლასი „დემონსტრაციულად ისვენებს“ (დროის არაპროდუქტიული ფლანგვა) და „დემონსტრაციულად მოიხმარს“ (ხარჯავენ საქონელზე საქონლის ღირებულებაზე მეტ ფულს). ეს ახდენს გავლენას საზოგადოების სხვა კლასებზე და ისინიც, პირდაპირ თუ ირიბად, ცდილობენ მათ მიბადონ. შედეგად, ყალიბდება დროისა და ფულის მფლანგველი საზოგადოება. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვებლენის ამ ნაშრომში არის ის, რომ იმდროინდელი სოციოლოგიური ნაშრომების უმრავლესობისაგან განსხვავებით (როგორც ვებლენის სხვა შრომებიც) „წარმატებული კლასის თეორია“ ძირითად ყურადღებას უთმობს არა წარმოებას, არამედ მოხმარებას. ამგვარად, ამ ნაშრომმა იწინასწარმეტყველა სოციალური თეორიების ინტერესების გადანაცვლება წარმოებიდან მოხმარებისაკენ.

ჩიკაგოს სკოლა.(1). (1) (იმ დისკუსიასთან დაკავშირებით თუ, რით განისაზღვრება სკოლა და იმის შესახებ თუ რატომ ვსაუბრობთ ჩვენ ჩიკაგოს სკოლაზე)

ჩიკაგოს უნივერსიტეტის სოციოლოგიური განყოფილება 1892 წელს დააფუძნა ალბიონ სმოლმა. სმოლის შემოქმედებას დღეს ნაკლები მნიშვნელობა აქვს ვიდრე მის როლს აშშ სოციოლოგიის განვითარების ინსტიტუციონალურ პერიოდში. მან ჩიკაგოში შექმნა განყოფილება, რომელიც წლების განმავლობაში უნდა გამხდარიყო და გახდა კიდევ სოციოლოგიური დისციპლინის ცენტრი ამ ქვეყანაში. 1894 წელს გამოდის სოციოლოგიის პირველი სახელმძღვანელო, ერთ-ერთი ავტორია სმოლი. 1895 წელს მან დააფუძნა „ამერიკული სოციოლოგიური ჟურნალი“, რომელიც

დღესაც ითვლება ავტორიტეტულ სოციოლოგიურ გამოცემად. 1905 წელს არსდება ამერიკული სოციოლოგიური საზოგადოება, რომელიც დღესაც არის ამერიკელი სოციოლოგების წამყვანი პროფესიონალური. (უხერხული აბრევიატურის გამო ამერიკული სოციოლოგიური საზოგადოება ASS (American Sociological Society) (ASS – ინგლისურად ნიშნავს ვირს, სულელს.), 1959 წელს სახელი შეუცვალეს – ამერიკულ სოციოლოგიურ ასოციაციად ASA - (American Sociological Association).

ჩიკაგოში სოციოლოგიის განვითარების ადრინდელი ეტაპი. ჩიკაგოს ახალგაზრდა სოციოლოგიური განყოფილება ხასიათდება რიგი თავისებურებებით. ჯერ ერთი, ის მჭიდრო კაბშირშია რელიგიასთან. ზოგიერთი მასწავლებელი თავად იყო მღვთისმსახური, სხვები ღვთისმსახურთა შვილები. მაგალითად, სმოლი თვლიდა, რომ „სოციოლოგიის უმაღლესი მიზანი, უნდა იყოს არსებითად ქრისტიანული“. აქედან გამომდინარეობდა, რომ სოციოლოგიის ამოცანაა სოციალური რეფორმებისადმი ხელშეწყობა. მოცემული მიდგომა არ გამოირცხანდა სოციოლოგიის მეცნიერულობის შესაძლებლობას (მაგრამ ჩვენ ვნახავთ, რომ ჩიკაგოს სკოლაში შემუშავებული მეცნიერული კონცეფცია იყო ძალზე „რბილი“, ყოველ შემთხვევაში პოზიტივისტების თვალში, რომელთაც მოგვიანებით დაიკავეს ლიდერის პოზიციები სოციოლოგიაში). საზოგადოების სრულყოფაზე მიზანმიმართულ მეცნიერულ სოციოლოგიას უნდა შესჭიდებოდნენ მეცნიერები მუდმივად მზარდ ჩიკაგოში, რომელიც უკვე გრძნობდა საკუთარ თავზე ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის, როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ გავლენას.

უილიამ ისაკ ტომასი (1863-1947). 1895 წელს ტომასი იწყებს მუშაობას ჩიკაგოს სოციოლოგიის განყოფილებაში; 1896 წელს იქვე დაწერს თავის დისერტაციას. იმის გამო, რომ ის ყოველთვის აღნიშნავდა სოციოლოგიაში მეცნიერული გამოკვლევების აუცილებლობაზე, მისი გავლენა არ სუსტდებოდა. ის დიდხანს იდგა ამ პოზიციაზე, მაგრამ მისი ხმამაღალი სიტყვა გაისმა მხოლოდ 1918 წელს, როდესაც მან გამოაქვეყნა წიგნი „პოლონელი გლეხი ევროპასა და ამერიკაში“, მისი თანაავტორი იყო ფლორიან ზნანეცკი. მარტინ ბლუმერი თვლის ამ წიგნს შემობრუნების პუნქტად, რადგან მან შემოაბრუნა სოციოლოგია „აბსტრაქტული თეორიისა და წიგნისეული გამოკვლევებიდან, თეორიული კარკასის გამოყენებით სამყაროს ემპირიული შესწავლისაკენ“ (1984, გვ.45). ნორბერტ უაილი „პოლონელ გლეხს“ თვლის სოციოლოგის შრომით ფორმირებისათვის გადამწყვეტად, რადგან ის „ასუფთავებს უნიკალურ ინტელექტუალურ სივრცეს, რომელზედაც დაკვირვებები და გამოკვლევების ჩატარება შეუძლია მხოლოდ ამ დისციპლინას“ (1986, გვ.20). ეს წიგნი შედეგია რვაწლიანი გამოკვლევებისა ევროპასა და შეერთებულ შტატებში და პირველ რიგში წარმოადგენს პოლონელი მიგრანტების სოციალური დეზორგანიზაციის ანალიზს. თვით მონაცემებმა მალე დაკარგეს მნიშვნელობა, მაგრამ, პირველ რიგში, მნიშვნელოვანი იყო მეთოდოლოგია, რომელშიც ჩართულია მრავალფეროვანი წყაროები, მათ შორის ავტობიოგრაფიული მასალები, გასამრჯელოს ამონაწერები, ნათესავების წერილები, გაზეთების შეკვრები, ოფიციალური დოკუმენტები და საქმიანი კორესპოდენცია.

თუმცა „პოლონელი გლეხი“ ძირითადად არის სოციალური ინსტიტუტების მაკროსოციოლოგიური გამოკვლევა, ტომასი თანდათანობით შეეტყობა მიკრომიდგომა და სოციალურ-ფსიქოლოგიური ორიენტაცია. თომასი ცნობილია თავისი

სოციალურ_ფსიქოლოგიური ხასიათის დებულებით (რომელიც გააკეთა დოროთი თომასთან ერთობლივად დაწერილ წიგნში): „თუ ადამიანები განსაზღვრავენ სიტუაციას, როგორც რეალურს, მაშინ ისინი რეალურებია თავიანთი შედეგებით“ (თჰომას ანდ თჰომას, 1928,პ. 572). აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რას ფიქრობენ ადამიანები და როგორ მოქმედებს ეს იმაზე, თუ რას აკეთებენ ისინი. ეს მიკროსკოპიული სოციალურ_ფსიქოლოგიური შეხედულება წინააღმდეგობაშია ისეთი ევროპელი მეცნიერების, როგორებიცაა მარქსი, ვებერი და დურჰემის მაკროსკოპიულ, სოციალურ_სტრუქტურულ და სოციალურ_კულტურულ შეხედულებებთან. ის გახდა ჩიკაგოს სკოლის თეორიული პროდუქტის _ სიმბოლური ინტერაქციონიზმის ერთ_ერთი განმსაზღვრელი თვისება.

რობერტ პარკი (1864-1944). ჩიკაგოს სკოლის მეორე შესამჩნევი ფიგურაა რობერტ პარკი. 1914 წელს ის ჩამოდის ჩიკაგოში მასწავლებლად (არასრული ანაზღაურებით) და მალე მიაღწევს სოციოლოგიის განყოფილებაში ლიდერის პოზიციას. პარკის შემოქმედება სოციოლოგიის განვითარების თვალსაზრისით განიხილება რამდენიმე სიბრტყეში. ჯერ_ერთი, ის გახდა წამყვანი ფიგურა ჩიკაგოს განყოფილებაში, რომელიც თავის მხრივ დომინირებდა სოციოლოგიაში XXს. 30-იან წლებამდე. მეორე, პარკმა განათლება მიიღო ევროპაში და ცდილობდა ჩიკაგოს სოციოლოგების ყურადღება მიექცია კონტინენტის სოციოლოგებისა და მოაზროვნეებისათვის. პარკი მეცადინეობდა ზიმელთან და მისი იდეები, განსაკუთრებით მისი აქცენტი ქმედებასა და უკუქმედებაზე გავლენას იქონიებს ჩიკაგოს სკოლის თეორიულ ორიენტაციაზე. მესამე, სანამ სოციოლოგი გახდებოდა, პარკი იყო რეპორტიორი და აქ მიღებულმა გამოცდილებამ მიიყვანა ის ქალაქური ცხოვრების პრობლემების მნიშვნელობის გააზრებამდე და რომ საჭიროა ემპირიული მონაცემების შეგროვება დაკვირვების საშუალებით. აქედან იწყება ჩიკაგოს სკოლის სერიოზული დაინტერესება ქალაქის ეკოლოგიით. მეოთხე, პარკმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ასპირანტებით ხელმძღვანელობაში, ეხმარებოდა შეემუშავენინათ „ასპირანტების საკვლევი საქმიანობის კოლექტიური პროგრამა“. და ბოლოს, 1921 წელს პარკი და ერნესტ უ. ბერჯესი გამოცემენ სოციოლოგიის პირველ და ნამდვილად მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს „სოციოლოგიის შესავალი“. წიგნის დიდხანს ინარჩუნებს მნიშვნელობას, გამოირჩეოდა გამოკვლევებისადმი მეცნიერული მიდგომის აღიარებით, მოითხოვდა სოციალური პრობლემების ფართო წრის შესწავლას.

20-იანი წლების დასასრულიდან პარკი ნაკლებ დროს უთმობს ჩიკაგოს. როგორც იქნა მისი მუდმივი ინტერესები რასობრივი ურთიერთობების მიმართ (სანამ სოციოლოგი გახდებოდა პარკი მუშაობდა ბუკერ ტისტან (ტალიაფერო) (1858-1915), ცნობილი ამერიკელი ზანგი საზოგადო მოღვაწე) 1934 წელს მიიყვანს პარკს ფისკის უნივერსიტეტში (შავი უნივერსიტეტი). 30-იან წლებში სუსტდება ჩიკაგოს სოციოლოგიის განყოფილება, ეს არ არის დაკავშირებული მხოლოდ პარკის წასვლასთან, მაგრამ სანამ შევეხებით ჩიკაგოს სოციოლოგიის განყოფილების დასუსტებას, საჭიროა დავუბრუნდეთ ამ სკოლის ადრინდელ პერიოდს და განსაკუთრებით ორ მეცნიერს, რომელთა შემოქმედებას ქონდა სერიოზული მეცნიერული მნიშვნელობა, ესენია: ჩარლზ ჰორტონ კული და განსაკუთრებით ჯორჯ ჰერბერტ მიდი (ჩიკაგოს სკოლაში იყვნენ სხვა ცნობილი სოციოლოგებიც, მაგალითად ევერეტ ჰიუსი).

ჩარლს ჰორტონ კული (1864-1929). კულის კავშირი ჩიკაგოს სკოლასთან ორიგინალურია, რადგან თავად მუშაობდა მიჩიგანის უნივერსიტეტში, მაგრამ კულის თეორიული განაზრებები ძალზე ახლოსაა სიმბოლურ ინტერაქციონიზმთან, რაც ჩიკაგოს სკოლის მნიშვნელოვან თეორიულ პროდუქტად ითვლება.

1894 წელს კული მიჩიგანის უნივერსიტეტში მიიღებს ფილოსოფიის დოქტორის წოდებას. ის სერიოზულადაა დაინტერესებული სოციოლოგიით, მაგრამ მაშინ მიჩიგანის უნივერსიტეტში არ იყო სოციოლოგიის განყოფილება. ამიტომ საკითხები მისი სადოქტორო დისერტაციის შესახებ მოვიდა კოლუმბიის უნივერსიტეტიდან, სადაც სოციოლოგია ფრანკლინ ჰიდენსის ხელმძღვანელობით ისწავლებოდა 1889 წლიდან. კული სადოქტორო ხარისხის მიღებამდე ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას 1892 წლიდან.

კულის შეხედულებები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, თუმცა დღეს ის ახსოვთ სოციალური ცხოვრების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლაში ჩადებული წვლილით. მისი შემოქმედება ამ სფეროში იგივე მიმართულებისაა რაც ახსიათებს ჯორჯ ჰერბერტ მიდს, თუმცა მიდს უფრო მეტი გავლენა აქვს სოციოლოგიაზე ვიდრე კულს. კულს აინტერესებდა ცნობიერება, მაგრამ მიდის მსგავსად ისიც უარს ამბობს გამოაცალკეცვოს ცნობიერება სოციალური კონტექსტისაგან. ამას კარგად ილუსტრირებს სარკისებური „მე“-ს დღემდე ცნობილი კონცეფცია, რომელიც ამტკიცებს, რომ ადამიანს გააჩნია ცნობიერება და რომ ის ყალიბდება სოციალური ურთიერთქმედებების პროცესში.

მეორე საბაზო კონცეფცია, რომელშიც ვლინდება კულის სოციალურ-ფსიქოლოგიური განაზრებები და დღემდე ინარჩუნებს მნიშვნელობას არის მისი კონცეფცია პირველადი ჯგუფების შესახებ. პირველადი ჯგუფები - ესაა უშუალო გარემოდან შექმნილი ჯგუფები, რომელიც ძირითად როლს ასრულებს კონკრეტული ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთობაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდების პირველადი ჯგუფები, ძირითადად ოჯახი და თანატოლები. ამ ჯგუფებში ინდივიდი ხდება სოციალური არსება. როგორც წესი, პირველადი ჯგუფებში თავს იჩენს სარკისებური „მე“, ეგოცენტრული ბავშვი სწავლობს სხვათა გათვალისწინებას და, ამგვარად, ხდება საზოგადოების სრულფასოვანი წევრი.

კული და მიდიც არ ეთანხმებიან ბიჰევიორისტულ მიდგომას, რომლის თანახმად ადამიანები ბრმად და გაუცნობიერებლად რეაგირებენ გარეგან სტიმულებზე. მათ მიაჩნიათ, რომ ადამიანები დაჯილდოებულია ცნობიერებით, თავისთავადობით და რომ სოციოლოგის მოვალეობაა შეისწავლოს სოციალური რეალობის ეს ასპექტები. კული ითხოვდა სოციოლოგებისაგან ეცადათ დაეყენებინათ საკუთარი თავი იმ ადამიანების ადგილზე, რომლებსაც იკვლევდნენ და ცნობიერების ანალიზისათვის გამოეყენებინათ სიმპათიური ინტროსპექციის მეთოდი. წარმოიდგენდა რა თუ განსხვავებულ ვითარებებში როგორ მოიქცოდა თავად, როგორც მოქმედი პირი, სოციოლოგი შესძლებდა გაეგო სოციალური ქმედების განმსაზღვრელი მიზნები და მოტივები. სიმპათიური ინტროსპექციის მეთოდი ბევრს არამეცნიერულად ეჩვენებოდა. მიდის შემოქმედებამ ამ სფეროშიც გადააჭარბა კულის მცდელობებს. მიუხედავად ამისა, მათ შეხედულებებში დიდი მსაგავსებაა და ერთ-ერთია მათი

თვალსაზრისი, რომ სოციოლოგია უნდა იკვლევდეს ისეთ სოციალურ-ფსიქოლოგიურ მოვლენებს, როგორებიცაა ცნობიერება, ქმედება და ურთიერთქმედება.

ჯორჯ ჰერბერტ მიდი (1863-1931). ყველაზე შესამჩნევი მოაზროვნე, რომელიც დაკავშირებულია ჩიკაგოს სკოლასა და სიმბოლურ ინტერაქციონიზმთან იყო არა სოციოლოგი, არამედ ფილოსოფოსი ჯორჯ ჰერბერტ მიდი. მიდი 1894 წელს იწყებს ჩიკაგოს უნივერსიტეტში ფილოსოფიის ლექციებს და რჩება იქ სიცოცხლის ბოლომდე. თუ გავითვალისწინებთ მიდის ცენტრალურ როლს სოციოლოგიური თეორიის ისტორიაში, უნდა ავლნიშნოთ მიდი შემოქმედების პარადოქსულობა, ჯერ-ერთი, ის ასწავლის ფილოსოფიას და არა სოციოლოგიას, და, მეორე, ძალიან ცოტა ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. ნაწილობრივ ამ პარადოქსს ორი ფაქტი ახსნის. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ მიდს ფილოსოფიის განყოფილებაზე მიყავს სოციალური ფსიქოლოგიის კურსი, რომელსაც ესწრებიან მრავალი ასპირანტი_სოციოლოგი. ზოგიერთ მათგანზე მიდის იდეებმა დიდი გავლენა იქონია. ამ სტუდენტებმა გააერთიანეს მარქსის იდეები პარკისა და ტომასის შეხედულებებთან. თუმცა მაშინ არ არსებობდა თეორია სიმბოლური ინტერაქციონიზმის სახელით, ის შექმნეს სტუდენტებმა სწორედ ამ განსხვავებული ელემენტებისაგან. ამგვარად, მიდს აქვს ღრმა პირადული გავლენა ადამიანებზე, რომელთაც შემდგომში მოუწევთ სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიის განვითარება. მეორეც, ამ სტუდენტებმა მიდის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელით გამოაქვეყნეს მიდის ლექციების ჩანაწერები. ამ ნაშრომს ეწოდება „გონება, თავისთავადობა და საზოგადოება“, რომლის წყალობითაც მიდის იდეები ზეპირსიტყვაობის სფეროდან გადადის დამწერლობით ტრადიციებში. დღესაც კარგად კითხვადმა ამ წიგნმა შექმნა სიმბოლური ინტერაქციონიზმის ძირითადი ინტელექტუალური საფუძველი.

ჩვენ მიდის შემოქმედებას დეტალურად გავაანალიზებთ მოგვიანებით, აქ კი აუცილებელია ავლნიშნოთ რამოდენიმე მომენტი. მიდის იდეები უნდა იქნას განხილული ფსიქოლოგიური ბიჰევიორიზმის თვალსაზრისით. ამ მიმართულებამ მიდზე დიდი გავლენა იქონია და ისიც ეთანხმებოდა მის მრავალ პრინციპს. მიდი გაგებით მოეკიდა ამ თეორიას, რომელიც მიმართული იყო კონკრეტულ ადამიანსა და მის ქცევაზე. მიდი გონივრულად და მიზანმიმართულად თვლის ბიჰევიორისტების ინტერესებს ადამიანის ქცევის ყველა ასპექტისადმი. მაგრამ, მიდის აზრით ბიჰევიორისტები არ წასულან საჭიროდ შორს, ე.ი. არ გახადეს ცნობიერება ანალიზის ღირსი, ამტკიცებდნენ, რომ ის არ ექვემდებარება მეცნიერულ შესწავლას. მიდი ამას კატეგორიულად არ ეთანხმება და ცდილობდა გაეფართოებინა ბიჰევიორიზმის პრინციპები, რათა გამოეყენებინათ ის „გონების“ ანალიზის დროს. ამგვარად მიდის თვალსაზრისი ახლოსაა კულის პოზიციასთან. მაგრამ მაშინ კულის პოზიცია თითქოს ვერ იყო მეცნიერული, მიდი კი გამოიყენებს ფსიქოლოგიური ბიჰევიორიზმის პრინციპებსა და მეთოდებს და შექმნის ცნობიერების მეცნიერულ კონცეფციას.

მიდმა ამერიკულ სოციოლოგიას აჩუქა ევროპელი სოციოლოგების მიერ შექმნილი თეორიებისაგან განსხვავებული სოციალური მიმართულების მქონე სოციალურ-ფსიქოლოგიური თეორია. მნიშვნელოვანი გამონაკლისია ზიმელი. ამგვარად, სიმბოლური ინტერაქციონიზმი განვითარდა, უმეტესწილად, ქმედებისა და ურთიერთქმედებისადმი (ინტერაქციისადმი) ზიმელისეული ინტერესისა და ცნობიერებისადმი

მიდის ინტერესის წყალობით. ამ თვალსაზრისმა მიგვიყვანა იქამდე, რომ სოციალურ და კულტურულ სიბრტყეში მიდის შემოქმედება და მთელი სიმბოლური ინტერაქციონიზმი საკმაოდ არადაძაჯერებლად გამოიყურება.

რობერტ პარკი: ბიოგრაფიული ნარკვევი. რობერტ პარკს არ ქონია აკადემიური სოციოლოგის ტიპური კარიერა. იმ დროისათვის, როდესაც, უკვე ასაკოვანი, ის ხდება სოციოლოგი, მას უკვე ქონდა დიდი პროფესიონალური გამოცდილება. მიუხედავად ამისა, მან დიდი გავლენა იქონია სოციოლოგიაზე ზოგადად და, კერძოდ, სოციოლოგიურ თეორიაზე. პარკის იდეებმა ხელი შეუწყო ცხოვრებაზე მისი არასტანდარტული შეხედულებების განვითარებას, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩიკაგოს სკოლის, სიმბოლური ინტერაქციონიზმის და, საბოლოო ჯამში, სოციოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოყალიბებაში.

პარკი დაიბადა 1864 წლის 14 თებერვალს პენსილვანიის შტატის ქ.პარვივილეში. მიჩიგანის უნივერსიტეტში სტუდენტობის პერიოდში მასზე გავლენა ქონდა რიგ ცნობილ მოაზროვნეებს, მაგალითად, როგორიცაა ჯონ დიუი. თუმცა მრავალი იდეა აინტერესებდა მას, ის მაინც გრძნობს რეალურ სამყაროში მუშაობის აუცილებლობას. თავად პარკი ამბობდა: „მე გადავწყვიტე შემეძინა გამოცდილება, შემეკრიბა ჩემს სულში სამყაროს ყველა დარდი და სიხარული“. უნივერსიტეტის შემდეგ მუშაობას იწყებს ჟურნალისტად, ეს იყო რეალურ სამყაროში მუშაობის შესაზლებლობა. მას განსაკუთრებით მოსწონდა რაიმეს სწავლა („დახეტილობდა სამორინეებსა და ოპიუმის დარბაზებში“. ის ლამაზ ფერებში ხატავდა ქალაქის ცხოვრებას. ჩვეულებრივ ის მიემართებოდა თავის საკვლევად შერჩეულ უბანში, აკვირდებოდა, ანალიზებდა და მხოლოდ შემდეგ აკეთებდა ჩანაწერებს. არსებითად ის უკვე ეწეოდა კვლევას („მეცნიერულ რეპორტაჟს“), რაც შემდეგ გახდება ჩიკაგოს სოციოლოგიის ერთ-ერთი ნიშანი, ანუ, ქალაქური ეთნოლოგია ჩართული დამკვირვებლის მეთოდის გამოყენებით.

თუმცა ნამდვილი ცხოვრების აღწერა რჩებოდა მის ერთ-ერთ გატაცებად, მას უკვე აღარ აწყობს ჟურნალისტად მუშაობა, რადგან ეს საქმიანობა აღარ აკმაყოფილებს ცხოვრებისეულ მოთხოვნებს და რაც მთავარია მის ინტელექტუალურ მისწრაფებებს. გარდა ამისა ეჩვენება, რომ ეს საქმიანობა არ უწყობს ხელს სინამდვილის სრულყოფას, პარკი ძალიანაა დაინტრესებული სოციალური რეფორმებით. 1898 წელს პარკი მიატოვებს საქმიანობას გაზეთში და მოეწეობა ჰარვარდის ფილოსოფიის განყოფილებაზე. იქ რჩება მთელი წლის განმავლობაში, შემდეგ კი მიემგზავრება გერმანიაში - იმ დროის ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრში. ბერლინში ის გაიცნობს გეორგ ზიმელს, რომელსაც დიდი გავლენა ექნება პარკის სოციოლოგიაზე. ფაქტობრივად ზიმელის ლექციები იყო ეთადერთი ფორმალური სოციოლოგიური განათლება, რომელიც მიიღი პარკმა. თავად ამბობდა, რომ „საზოგადოებასა და ადამიანის ბუნებაზე ჩემი ცოდნის დიდი ნაწილი მე მივიღე ჩემი დაკვირვებებიდან“. 1904 წელს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში პარკი დაიცავს სადოქტორო დისერტაციას. თავისი ჩვეულებისამებრ პარკი არ არის ნაშრომით კმაყოფილი: „ყველაფერი რაც შემეძლო შემეთავაზებინა იყო ეს პატარა წიგნი, და მე მრცხვენია მის გამო“. მან უარი თქვა ჩიკაგოს უნივერსიტეტში მასწავლებლობაზე და ჩამოცილდა პედაგოგიურ საქმიანობას, როგორც ადრე ჩამოცილდა გაზეთს.

საზოგადოების სრულყოფაში საკუთარი წვლილის შეტანის მოთხოვნილებამ მიიყვანა ის კონგოს რეფორმატორული ასოციაციის საზოგადოებრივი კავშირების თანაშემწისა და მთავარი პირის თანამდებობაზე, რომლის შექმნის მიზანი თავიდან იყო სიმკაცრისა და ექსპლოატაციის შემცირება, რასაც ადგილი ქონდა ბელგიის კონგოში. ამ პერიოდში პარკი გაიცნობს ბუკერ ტი ვაშინგტონს და ვერ რჩება გულგრილი შავკანიანი ამერიკელების ბედისადმი. ის გახდა ბუკერის თანაშემწე და შეასრულა დიდი როლი ტასკჟიური ორგანიზაციის საქმიანობაში. 1912 წელს პარკი გაიცნობს უ.ი.ტომასს, ჩიკაგოელ სოციოლოგს, რომელიც ტასკჟიში კითხულობდა ლექციებს. თომასი შესთავაზებს პარკს წაიყვანოს ჩიკაგოში ასპირანტთა ჯგუფისათვის ლექციების კურსი თემაზე „ზანგი ამერიკაში“, პარკი მიიღებს წინადადებას და წაიკითხავს კურსს 1914 წელს. კურსს ქონდა დიდი წარმატება და პარკი მას გაიმეორებს მომავალ წელს ორჯერ უფრო დიდი აუდიტორიისათვის. ამავე ხანებში ის შედის ამერიკის სოციოლოგიურ საზოგადოებაში და ათი წლის მერე გახდება მისი პრეზიდენტი. თანდათანობით პარკი მოიკიდებს ფეხს ჩიკაგოში, თუმცა სადოქტორო ხარისხს მიიღებს მხოლოდ 1923 წელს. ჩიკაგოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ორი ათეული წლის მანძილზე პარკი ასრულებს წამყვან როლს სოციოლოგიური განყოფილების ინტელექტუალური მიმართულების ჩამოყალიბებაში.

პარკი მიატოვებს ჩიკაგოს უნივერსიტეტს 30-იანი წლების დასაწყისში. ამის შემდეგ მას მიყავს კურსი და ხელმძღვანელობს ფისკის უნივერსიტეტში ჩატარებულ კვლევებს თითქმის 80 წლის ასაკამდე. ის ბევრს მოგზაურობდა. პარკი გარდაიცვალა 1944 წლის 7 თებერვალს, 80 წლის იუბილემდე ერთი კვირით ადრე.

სოციოლოგიური თეორია XXს შუაწლებამდე.

ჰარვარდის უნივერსიტეტის აღმასვლა, სუროს ლიგა და სტრუქტურული ფუნქციონალიზმი.

ჰარვარდში სოციოლოგიის განვითარებაზე უნდა ვისაუბროთ მას მერე, რაც იქ დაიწყო მუშაობა პიტირიმ სოროკინმა ე.ი 1930 წლიდან (ყოჰნსტონ, 1995). ჰარვარდში ჩასულ სოროკინს არ დახვდა სოციოლოგიური განყოფილება, მაგრამ წლის ბოლოსათვის ასეთი განყოფილება დაარსდა, მის უფროსად კი დაინიშნა პიტირიმ სოროკინი. თუმცა პიტირიმ სოროკინი არის თეორეტიკოსი_სოციოლოგი და 60-იან წლებამდე აქვეყნებდა ნაშრომებს, მას ძალიან იშვიათად იხსენებენ დღეს. სოროკინის თეორიულმა განაზრებებმა არცთუ საუკეთესო სახით გაუძლო დროის გამოცდა. სოროკინის მნიშვნელობის დროებითი ხასიათი განაპირობა ჰარვარდში მის მიერვე შექმნილმა სოციოლოგიურმა განყოფილებამ და ტალკოტ პარსონსის მიწვევამ ამ განყოფილებაზე სოციოლოგად (ადრე პარსონსი ჰარვარდში ასწავლიდა ეკონომიკას). პარსონსი გახდა ყველაზე ავტორიტეტული ფიგურა ამერიკულ სოციოლოგიაში, გააცნო ამერიკულ საზოგადოებას ევროპელი თეორეტიკოსები და აღზარდა მრავალი სტუდენტი, რომლების თავად გახდნენ ცნობილი სოციოლოგები.

პიტირიმ სოროკინი (1889-1968). სოროკინმა შეიმუშავა თეორია, რომელიც მაშტაბებითა და სირთულით აღემატება პარსონსის თეორიას. ყველაზე სრულად მისი შინაარსი გადმოცემულია ოთხტომეულში „სოციალური და კულტურული დინამიკა“, რომელიც გამოქვეყნდა 1937_1941 წლებში. ამ ნაშრომში სოციალური და კულტურული ცვლილებების ერთიანი თეორიის

შესაქმნელად სოროკინი იყენებს უზარმაზარ ემპირიულ მონაცემებს. იმ მეცნიერებებისაგან განსხვავებით, რომლების ქმნიდნენ სოციალური ცვლილებების ევოლუციონისტურ თეორიას, სოროკინი შექმნის ციკლურ თეორიას. ის თვლის, რომ საზოგადოება გაივლის მენტალობის სამ ძირითად ტიპს: გრძნობადს, მჭვრეტელობითს და იდეალისტურს. საზოგადოება სადაც ზეობს გრძნობადი ტიპი, რეალობის შემეცნებაში ძირითად როლს ანიჭებს გრძნობებს; საზოგადოება, რომელსაც ახასიათებს რეალობის უფრო ტრანსცენდენტალური და რელიგიური გაგება, – მჭვრეტელობითს; ხოლო იდეალისტური საზოგადოებები გარდამავალია გრძნობადსა და რელიგიურს შორის.

სოციალური ცვლილებების მამოძრავებელი მოქცეულია ყოველი სისტემის შინაგან ლოგიკაში, ე.ი. შინაგანი წნეხის გამო სისტემა უკიდურესად აფართოვებს აზროვნების მისთვის დამახასიათებელ წესს. ასე მაგალითად, გრძნობად საზოგადოებაში ბოლოს და ბოლოს, ისე გაძლიერდება შეგრძნებების როლი, რომ ის თავად ქმნის საკუთარი დაღუპვის საფუძველს. გრძნობადობა აღწევს თავის უკიდურეს ლოგიკურ წერტილს და ხალხი გამოსავალს პოულობს მჭვრეტელობით სისტემაში. მაგრამ, როგორც კი სისტემა შეიძენს დომინირებულ გავლენას, ის ასევე მიიწევს თავისი ბოლო წერტილისაკენ, შედეგად საზოგადოება ხდება ზედმეტად რელიგიური. შემდეგი ფაზაა – იდეალისტური კულტურის განვითარება და, ბოლოს, ციკლი ხელახლა მეორდება. სოროკინმა არა მხოლოდ დეტალურად დაამუშავა სოციალური ცვლილებების თეორია, არამედ მის დასასაბუთებლად მოიყვანა დეტალური მაგალითები ხელოვნების, ფილოსოფიის, პოლიტიკის და ა.შ. სფეროებიდან. უეჭველია, ეს იყო შთამბეჭდავი ქმნილება.

სოროკინის თეორია ვერ ამოიწურება ასეთი მოკლე მიმოხილვით, რომლის მიზანი იყო მკითხველს უბრალოდ ეგრძნო მისი თეორიის გაქანება. ძნელი ასახსნელია, რატომ აქციეს სოციოლოგებმა ზურგი სოროკინს. შეიძლება ეს დაკავშირებულია იმასთან თუ რისი კრიტიკა უყვარდა სოროკინს და რას მიუძღვნა მან წიგნი „ჭირვეულობები და სუსტი მხარეები თანამედროვე სოციოლოგიასა და მასთან დაკავშირებული მეცნიერებებში“ (1956). არაა გამორიცხული, რომ პიტირიმ სოროკინს ხელახლა აღმოაჩენს სოციოლოგების შემდეგი თაობა. დღეისათვის კი მისი შემოქმედება რჩება თანამედროვე სოციოლოგიური თეორიებში გაბატონებული ტენდენციების მიღმა.

ტალკოტ პარსონსი (1902_1979). თუ არ გავითვალისწინებთ კარიერის დასაწყისში რამოდენიმე ნარკვევის გამოქვეყნებას, დასაწყისისათვის პარსონსის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი გავლენა ასპირანტებზე, რომლებიც მოგვიანებით გახდებიან ცნობილი თეორეტიკოსი_სოციოლოგები. მათ შორის ყველაზე ცნობილია რობერტ მერტონი, რომელიც 1936 წელს მიიღებს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს და მალევე გახდება კოლუმბიის უნივერსიტეტში პარსონსისეული მიმართულების მთავარი თეორეტიკოსი და განვითარების სული და გული. იმავე წელს (1936) კინგლი დევისი გახდება ფილოსოფიის დოქტორი და უილბერტ მერთან (ხარისხს მიიღებს ჰარვარდში 1940წელს) გამოაქვეყნებს ერთ-ერთ ცენტრალურ ნაშრომს სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორიაში. (სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორია ითვლება პარსონსისა და მისი მიმდევრების მნიშვნელოვან პროდუქტად). მაგრამ პარსონსის გავლენა არ ისაზღვრება 30-იანი წლებით. მნიშვნელოვანია, რომ

ის 60-იან წლებამდე კურირებდა ასპირანტებს, რომელთაც შემდეგ ბევრად განსაზღვრეს სოციოლოგიის განვითარება.

პარსონსისა და ამერიკული სოციოლოგიისათვის მნიშვნელოვანი იყო 1937 წელი, როდესაც მან გამოაქვეყნა „სოციალური ქმედების სტრუქტურები“. ამ წიგნს უდიდესი მნიშვნელობა ქონდა ამერიკული სოციოლოგიური თეორიისათვის ოთხი მთავარი მიზეზის გამო. პირველი, მან წარუდგინა ამერიკის ფართო აუდიტორიას ძირითადი ევროპული თეორიები. წიგნის არცთუ მცირე ნაწილი ეძღვნება დურკჰემს, ვებერსა და პარეტოს. მათი იდეების პარსონსისეული ინტერპრეტაცია დიდი ხნით ჩამოაყალიბებს ამ სოციოლოგთა ხატებს ამერიკულ სოციოლოგიაში.

მეორე, პარსონსი თითქმის არ აქცევს ყურადღებას მარქსს (არც ზიმელს.), მაშინ როდესაც ხაზს უსვამს დურკჰემის, ვებერისა და პარეტოს შემოქმედებასაც კი. შედეგად, მარქსისტული თეორია რჩებოდა ზოგადმიღებული სოციოლოგიის გარეთ.

მესამე, „სოციალური ქმედების სტრუქტურამ“ დაასაბუთა სოციოლოგიური თეორეტიზირება, როგორც სოციოლოგიური საქმიანობის მნიშვნელოვანი ფორმა. თეორიები, რომლებიც ამის შემდეგ გამოჩნდნენ აშშ ბევრად უნდა უმაღლოდნენ პარსონსის შრომებს.

ბოლოს, პარსონსი იბრძვის განსაზღვრული სოციოლოგიური თეორიისათვის, რომელსაც გავლენა ექნება სოციოლოგიაზე. თავიდან პარსონსი მიაჩნდათ, თავადაც ასე თვლიდა, ქმედების თეორეტიკოსად. თითქოს ჩანდა, რომ ის ყურადღების კონცენტრაციას აკეთებს აქტიურ ადამიანზე, მის აზრებსა და ქმედებებზე. ამ ნაშრომის 1937 წელს გამოსვლის დროისათვის და განსაკუთრებით უფრო გვიანდელ შემოქმედებაში პარსონსი უფრო გამოიყურება, როგორც სტრუქტურულ-ფუნქციონალური თეორეტიკოსი, რომელიც შეისწავლის დიდ სოციალურ და კულტურულ სისტემებს. თუმცა პარსონსი ამტკიცებდა, რომ არსებულ თეორიებს შორის არ არსებობს წინააღმდეგობები, მან ავტორიტეტი მოიხვეჭა, როგორც სტრუქტურულმა ფუნქციონალისტმა და გახდა სწორედ ამ თეორიის პირველი წარმომადგენელი, თეორიისა, რომელმაც მოიხვეჭა ავტორიტეტი სოციოლოგიაში და შეინარჩუნა ის 60-იან წლებამდე. პარსონსის თეორიისა და მთლიანად სტრუქტურული ფუნქციონალიზმის სიძლიერე მდგომარეობს იმ მიმართებების ასახვაში, რომლების არსებობს მსხვილ სოციალურ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს შორის (იხ. მესამე თავი).

სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორიას პარსონსი ძირითადად ჩამოაყალიბებს 50-იანი წლების რამოდენიმე ნაშრომში, რომელთაგან სხვაზე ცნობილის „სოციალური სისტემა“ (1951,). ამ და სხვა ნაშრომებში პარსონსი ცდილობს ყურადღების კონცენტრირებას სოციალური სტრუქტურების და მათ ურთიერთმიმართებებზე. ის თვლის, რომ ისინი მხარს უჭერენ ერთმანეთს და იხრებიან დინამიური წონასწორობისაკენ. პარსონსი ცდილობს დაამტკიცოს ის, რომ საზოგადოების სხვადასხვა ელემენტებს შორის დაცულია წესრიგი. ცვლილებები აღიარებულია მოწესრიგებულ პროცესად და ბოლოს და ბოლოს, პარსონსი სოციალურ ცვლილებებთან დაკავშირებით მივა ნეორევოლუციონისტურ შეხედულებებამდე. პარსონსს აინტერესებს არა მხოლოდ სოციალური სისტემა, როგორც ასეთი, ასევე აინტერესებს მისი

ურთიერთმიმართება ქმედების სხვა სისტემებთან, განსაკუთრებით კულტურულ და პიროვნებისეულ სისტემებთან. და მაინც, პარსონსის შეხედულებები სისტემათშორისო ურთიერთობებზე, არსებითად იგივეობრივია შიდასისტემური ურთიერთობებისა, ე.ი. მათ თვისებებად ის თვლიდა მთლიანობას, ზოგადობას და მოწესრიგებულობას. სხვა სიტყვებით, განსხვავებული სოციალური სტრუქტურები ერთმანეთთან მიმართებაში ასრულებენ ფუნქციათა გარკვეულ რაოდენობას.

ახლა ნათელია თუ რატომ ითვლება პარსონსის სტრუქტურულ ფუნქციონალისტად. აშშ პარსონსის ავტორიტეტის ზრდასთან ერთად იზრდებოდა სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ავტორიტეტიც. პარსონსის შემოქმედებამ შექმნა თეორიის ქვაკუთხედი, მისმა სტუდენტებმაც და მიმდევრებმაც პოზიტიური როლი შეასრულეს თეორიის განვითარებასა და ავტორიტეტის შენარჩუნებაში.

შეერთებული შტატებში სოციოლოგიური თეორიის ისტორიაში პარსონსმა ბევრი მნიშვნელოვანი და სასარგებლო გააკეთა, მაგრამ, ამავე დროს მის შემოქმედებას აქვს ნეგატიური შედეგებიც. ჯერ-ერთი, მან შესთავაზა ამერიკელებს იმ ევროპელი თეორეტიკოსების შეხედულებები, რომლებიც მის თვალსაზრისს ენათესავებოდნენ. ამის გამო ბევრი ავტორიტეტული სოციოლოგი შეცდომაში იქნა შეყვანილი. მეორე, როგორც ზემოთ აღინიშნა, კარიერის დასაწყისში პარსონსი იგნორირებდა მარქსის თეორიას, შედეგად მარქსი დიდხანს დარჩა სოციოლოგიის პერიფერიებზე. მესამე, განვითარების კვალდაკვალ პარსონსის თეორიაში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები. მაგრამ კრიტიკა პარსონსის ავტორიტეტის გამო დიდხანს ჩუმად იყო. მოგვიანებით კი პარსონსის თეორიასაც შეეხო კრიტიკა და სტრუქტურულ ფუნქციონალიზმსაც.

მაგრამ ჩვენ წინ გავიჭერთ, უნდა დავუბრუნდეთ XXს. 30-იან წლებს და სხვა გამოკვლევებს, რომელთაც ადგილი ქონდათ ჰარვარდში. ამ კუთხით კარგ სამსახურს გაგვიწევს ჰარვარდის განყოფილების ცნობილი სოციოლოგის – ჯორჯ ჰომანსის თეორიის განხილვა.

ჯორჯ ჰომანსი (1910-1989). შეძლებულმა ბოსტონელმა ჯორჯ ჰომანსმა 1932 წელს ჰარვარდში მიიღო ბაკალავრის ხარისხი. დიდი დეპრესიის დროს უმუშევარი დარჩა, მაგრამ არა საარსებო საშუალებების გარეშე. 1932 წლის შემოდგომაზე, ფსიქოლოგ ლ. ჯ. ჰენდერსონს მიყავდა კურსი პარეტოს თეორიების მიხედვით, ჰომანსი მოიწვიეს ამ კურსის მოსასმენად და მან მიიღო ეს მიწვევა (პარსონსი ასევე ესწრებოდა სემინარებს პარეტოს თემებზე). ჰომანსი აღწერს თუ რატომ მოეწონა მას პარეტოს შეხედულებები და ეს აღწერა კარგად აგვიხსნის თუ რატომ იყო ამერიკული სოციოლოგიური თეორია ამდენად კონსერვატიული და ანტიმარქსისტული: მე გამიტაცა პარეტომ იმიტომ, რომ ამიხსნა ის რის დასაჯერებლად მე უკვე მზად ვიყავი. . . ვიღაცამ თქვა, რომ თანამედროვე სოციოლოგიის დიდი ნაწილი არის მცდელობა გაეცეს პასუხი რევოლუციონერებს. როგორც ბოსტონელი_რესპუბლიკელი, რომელმაც არ თქვა უარი შეძლებულ ოჯახზე, 30-იან წლებში მე თავად ვგრძნობდი ზეწოლას, პირველ რიგში მარქსისტების მხრიდან. მე მზად ვიყავი დამეჯერებინა პარეტოსათვის, რადგან მან მე დამიცვა.

ჰომანსის მიერ პარეტოს თეორიის გაცნობას 1934 წელს მოყვა ჩარლზ კერტისთან თანაავტორობით დაწერილი წიგნის „პარეტოს შესავალი“-ის გამოსვლა. ამ პუბლიკაციამ ჰომანსი აქცია სოციოლოგად, თუმცა პარეტოს ნაშრომები იყო ერთადერთი რაც მას სოციოლოგიაში იმდროისათვის ქონდა წაკითხული.

1934 წელს ჰარვარდში ჰომანსი დაინიშნა უმცროს მკვლევარ-სტიპენდიანტად, პროგრამის მონაწილედ, რომელსაც უნდა შეერბილებინა ფილოსოფიის დოქტორობისათვის მზადება. ჰომანსს არ მიუღია დოქტორის ხარისხი, მაშინაც კი, როდესაც გახდა ყველაზე გამოჩენილი ფიგურა იმ პერიოდის სოციოლოგიაში. ჰომანსი იყო მკვლევარი - სტიპენდიანტი 1939 წლამდე, მუდმივად მეცადინეობდა სოციოლოგიაში. 1939 წელს ჰომანსი შეუერთდა სოციოლოგიურ განყოფილებას, თუმცა ომმა ხელი შეუშალა თანამშრომლობას.

ჰომანსის ომიდან დაბრუნებისათვის პარსონსს ჰარვარდში უკვე შექმნილი ქონდა სოციალურ ურთიერთობათა განყოფილება და ჰომანსი აქ იწყებს მუშაობას. თუმცა ჰომანსი მორიდებით ეკიდება პარსონსის შემოქმედების ზოგიერთ ასპექტებს, მთლიანობაში ის სასტიკად აკრიტიკებს თეორიის აგების პარსონსისეულ სტილს. მათ შორის იწყება ხანგრძლივი პოლემიკა, რაც აისახება კიდევ მრავალ წიგნებსა და ჟურნალებში. ზოგადად ჰომანსი ამტკიცებდა, რომ პარსონსის თეორია ფაქტობრივად წარმოადგენს ინტელექტუალურ კატეგორიათა ფართო სისტემას, რომელშიც ჩართულია სოციალური ცხოვრების მრავალი ასპექტიც. გარდა ამისა, ჰომანსი მიიჩნევს, რომ თეორია უნდა აიგოს ქვემოდან ზემოთ სოციალურ სამყაროზე დეტალურ დაკვირვებებზე დაყრდნობით. პარსონსის თეორია კი საწყისს იღებდა განზოგადოებულ თეორიულ დონეზე და ეშვებოდა ქვემოთ ემპირიულ დონემდე.

საკუთარ შემოქმედებაში ჰომანსი ემპირიული დაკვირვებებით დიდხანს აგროვებდა მონაცემებს და მხოლოდ 50-იან წლებში შეარჩია თეორიული მიდგომა მათი ანალიზისათვის. ეს იყო ბიჰევიორიზმის ფსიქოლოგიური თეორია, საუკეთესო სახით წარმოდგენილი მისი ჰარვარდელი მეგობრის, ფსიქოლოგი ბ.ფ.სკინერის იდეებში. ამ მიდგომის ბაზაზე ჰომანსი შეიმუშავებს გაცვლის საკუთარ თეორიას. ამ თეორიულ მიმართულებას ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით. აქ კი მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ, რომ ჰარვარდი და მისი მთავარი პროდუქტი _ სტრუქტურული ფუნქციონალიზმი _ 30-იანი წლების დასასრულისათვის წამყვან ადგილს იკავებს სოციოლოგიაში, ფაქტობრივად შეცვლის ჩიკაგოს სკოლასა და სიმბოლურ ინტერაქციონიზმს.

XXს. მეორე ნახევრის სოციოლოგიური თეორია.

სტრუქტურული ფუნქციონალიზმი: აღმასვლა და ვარდნა.

პარადოქსული, მაგრამ 1940-1950-იანი წლები არის სტრუქტურული ფუნქციონალიზმის დიდი გავლენისა და ასევე დასუსტების წლები. აქ შექმნა პარსონსმა თავისი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქმნილებები, რომლებშიც ცხადად გამოჩნდა მისი შემობრუნება ქმედების თეორიიდან სტრუქტურული ფუნქციონალიზმისაკენ. პარსონსის მოწაფეები მთელს ქვეყანაში დაიფანტნენ და დაიკავეს წამყვანი თანამდებობები სოციოლოგიის განყოფილებებზე (მაგალითად, კოლუმბიისა და კორნელის უნივერსიტეტებში). ისინი თავად ქმნიდნენ შრომებს, რომლებიც მოგვიანებით აღიარებული იყო როგორც არსებითი წვლილი სტრუქტურულ

ფუნქციონალიზმში. მაგალითად, 1945 წელს კინგსლი დევისი და უილბერტ მური გამოაქვეყნებენ ნარკვევს, რომელში გაანალიზებული აქვთ სოციალური სტრატეგიკაცია სტრუქტურული ფუნქციონალიზმის პოზიციიდან. ეს იყო აღნიშნული პრობლემის ერთ-ერთი ნათელი გადმოცემა, რომელშიც მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ სტრატეგიკაცია საზოგადოების არსებობისათვის ფუნქციონალურად აუცილებელი სტრუქტურაა. სხვა სიტყვებით, იდეოლოგიის თვალსაზრისით მათ დაიკავეს თანასწორობის საწინააღმდეგო პოზიცია (ანუ დაკანონებულია უთანასწორობა. მთ.).

1949 წელს მერტონი გამოაქვეყნებს ნარკვევს, რომელიც გახდება სტრუქტურული ფუნქციონალიზმის მნიშვნელოვანი საპროგრამო ნაწარმოები. ის ამ ნაშრომში ცდილობს დეტალურად აღწეროს მოცემული თეორიის ძირითადი ელემენტები და ზოგიერთი მიმართულებით გააფართოვოს ისინი. მას მიაჩნია, რომ სტრუქტურული ფუნქციონალიზმი უნდა იხილავდეს არა მხოლოდ პოზიტიურ ფუნქციებს, არამედ ნეგატიურსაც (დისფუნქცია). გარდა ამისა, გაანალიზებულ უნდა იქნას ფუნქციისა და დისფუნქციის წმინდა ბალანსი.

მაგრამ შენიშნეს რა, რომ სტრუქტურული ფუნქციონალიზმი მიისწრაფვის დომინირებადი მდგომარეობისაკენ ის გახდა კრიტიკის ობიექტი, თან თავდასხმები ძლიერდებოდა და 60-70-იან წლებში მიაღწია პიკს. დევისისა და მურის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიკაციის სტრუქტურულ-ფუნქციონალური თეორია თავიდანვე იქცა კრიტიკის ობიექტად, რაც დღემდე გრძელდება. 1959 წელს ჩ. რაიტ მილზი აკრიტიკებს პარსონსს, თეორიის მიმართ სხვა სერიოზული არგუმენტები წამოსწიეს დევიდ ლოკვუდმა, ელვინ გოუდნერმა და ირვინგ ჰოროვიცმა. 50-იან წლებში ეს კრიტიკა განიხილებოდა, როგორც „პარტიზანული გამოხდომები“, მაგრამ 60-იან წლებში სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ლიდერობას სოციოლოგიაში საშიშროება ემუქრება.

ჯორჯ ჰუაკო სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ავტორიტეტის აღმასვლასა და ვარდნას უკავშირებს აშშ მდგომარეობას მსოფლიოში. 1945 წლის შემდეგ, აშშ მიაღწევს რა ლიდერულ მდგომარეობას მსოფლიოში, სტრუქტურული ფუნქციონალიზმი იწყებს დომინირებას სოციოლოგიაში. ჯერ-ერთი, ჰუაკოს აზრით, სტრუქტურულ-ფუნქციონალური თვალსაზრისი, რომლის თანახმად „ყოველ ელემენტს აქვს შედეგი, რომელიც ხელს უწყობს უფრო დიდი სტრუქტურის გადარჩენასა და შენარჩუნებას“, არის „აშშ მსოფლიო ჰეგემონიის მხოლოდ ზეიმი“. მეორე, თანასწორობაზე სტრუქტურულ-ფუნქციონალური აქცენტი (საუკეთესო სოციალური ცვლილება ეს უცვლელია) სრულ თანხმობაშია აშშ, „იმ დროისათვის მსოფლიოში ყველაზე მდიდარი და ძლიერი იმპერიის“ ინტერესებთან. 1970 წლის შემდეგ აშშ გავლენის კლება ემთხვევა მომენტს, როდესაც სტრუქტურული ფუნქციონალიზმი კარგავს თავის გაბატონებულ მდგომარეობას სოციოლოგიაში.

კონფლიქტის თეორიის განვითარება.

მარქსიზმისა და სოციოლოგიური თეორიის ჰეგემონიის კავშირის მეორე მაუწყებელია კონფლიქტის თეორიის, როგორც სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ალტერნატივის განვითარება. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, როგორც კი სტრუქტურულმა ფუნქციონალიზმმა

მიადწია სოციოლოგიური თეორიების ლიდერის პოზიციას ის გახდა მზარდი კრიტიკის ობიექტი. კრიტიკა იყო მრავალმხრივი: სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს ადანაშაულებდნენ პოლიტიკურ კონსერვატიზმში, სოციალური ცვლილებების განხორციელების უუნარობაში, რადგან აღიარებს სტატიკური სტრუქტურების უმთავრესობას, ასევე, ადანაშაულებენ სოციალური კონფლიქტების ადექვატური ანალიზის უუნარობაში.

ამ კრიტიკის ერთ-ერთი რეზულტატია რიგი სოციოლოგების მცდელობა დაეძლიათ სტრუქტურული ფუნქციონალიზმის პრობლემები სტრუქტურისა და კონფლიქტისადმი ინტერესების გაერთიანებით. ამ საქმიანობამ სათავე დაუდო კონფლიქტის თეორიას, როგორც სტრუქტურულ ფუნქციონალიზმის თეორიის ალტერნატიულ თეორიას. სამწუხაროდ, ხშირად აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ მოცემული თეორია, გარდა მისთვის დამახასიათებელი უმნიშვნელო ინტელექტუალური მთლიანობისა ოდნავაც არ აღემატება სტრუქტურული ფუნქციონალიზმის სარკისებურ ასახვას.

თეორიაში პირვლად კონფლიქტი ახსენა ლუის კოზერმა (ჩოზერ,1956) სოციალური კონფლიქტებისადმი მიძღვნილ წიგნში (ჟორსკი, 1991). აღნიშნულ ნაშრომში მოცემულია სოციალური კონფლიქტის განხილვის მცდელობა სტრუქტურული ფუნქციონალიზმის მსოფლმხედველობის პოზიციიდან. რა თქმა უნდა სასარგებლოა კონფლიქტის ფუნქციების განხილვა, მაგრამ კონფლიქტის პოზიტიური ფუნქციების გაანალიზებაზე მეტს მოგვცემს თვით კონფლიქტის შესწავლა.

სხვები ცდილობდნენ შეერბილებინათ განსხვავება სტრუქტურულ ფუნქციონალიზმსა და კონფლიქტის თეორიას შორის. თუმც ამ მცდელობებს ქონდათ გარკვეული პრაქტიკული მნიშვნელობა, მათ ავტორებს მაინც ადანაშაულებდნენ ამ ორ თეორიულ ალტერნატივას შორის არსებული დაპირისპირებების „შენიღბვის“ მცდელობაში.

კონფლიქტის თეორიის მთავარი პრობლემას ქმნიდა მარქსის თეორიასთან დისტანციის სიდიდე, რომლის იდეებზეც შეიძლებოდა დაყრდნობა. რადგან მარქსის თეორია შეიქმნა და ვითარდებოდა სოციოლოგიის გარეთ, ამდენად შეეძლო შეექმნა ბაზა კონფლიქტის სოციოლოგიური თეორიისათვის. გამონაკლისი იყო რალფ დარენდორფის ნაშრომი (დაიბ.1929).

დარენდორფი ევროპელი მეცნიერია, კარგად იცნობდა მარქსის თეორიას. ის ცდილობდა კონფლიქტის საკუთარი თეორია წარმოედგინა მარქსისტულ ტრადიციებში. საბოლოო ჯამში, კონფლიქტის დარენდორფისეული თეორია გამოიყურებოდა უფრო, როგორც სტრუქტურული ფუნქციონალიზმის სარკისებური ასახვა, ვიდრე კონფლიქტის მარქსისტული თეორია. დარენდორფის მთავარი ნაშრომი „კლასი და კლასობრივი კონფლიქტი ინდუსტრიულ საზოგადოებაში“ კონფლიქტის თეორიაში გავლენიანი ნაშრომია, მაგრამ ეს გახდა შესაძლებელი მხოლოდ იმიტომ, რომ ის აღიქმებოდა, როგორც ნაშრომი სტრუქტურულ ფუნქციონალიზმში, რაც მისაღები იყო გაბატონებული მიმდინარეობის წარმომადგენელი სოციოლოგებისათვის. ეს ნიშნავს, რომ დარენდორფი ისევე ანალიზებს, როგორც სტრუქტურული ფუნქციონალისტები (სტრუქტურა და ინსტიტუტები) და იხილავდა იგივე საკითხებს. (სხვა სიტყვებით, სტრუქტურულ ფუნქციონალიზმი და კონფლიქტის თეორია წარმოადგენენ ერთი და იგივე

პარადიგმის სხვადასხვა ნაწილებს; იხ.დანართი). დარენდორფი აღიარებდა, რომ თუმცა სოციალური სტრუქტურის ასპექტები შესაძლებელია იყვნენ ურთიერთშესაბამისობაში, მათ შორის ასევე შესაძლებელია დაძაბულობა და სერიოზული კონფლიქტი.

ბოლოს და ბოლოს კონფლიქტის თეორია შეიძლება განვიხილოთ, არც მეტი არც ნაკლები, როგორც სოციოლოგიური თეორიის გარდამავალი პერიოდი. მან განიცადა კრაზი, რადგან ვერ გაიარა საჭირო მანძილი მარქსიზმისაკენ მიმავალ გზაზე. 50-60-იანი წლების ამერიკული სოციოლოგია არ იყო მზად მიეღო სრულად ჩამოყალიბებული მარქსისტული მიდგომა. მაგრამ კონფლიქტის თეორია დაეხმარა მოენიშნათ ამ თეორიის მისაღები გზები 60-იანი წლების დასასრულისათვის.

უნდა აღინიშნოს რენდალ კოლინზის (ჩოლლინს,1975,1990,1993) წვლილი კონფლიქტის თეორიაში. ერთი მიხრივ, კოლინზის ძიებებს იგივე ნაკლოვანებები ქონდა, რაც სხვათა შრომებს: მარქსისტული თეორიის პოზიციებიდან მათ აკლდათ მეცნიერულობა. მეორე მხრივ, კოლინზმა განსაზღვრა კონფლიქტის თეორიის კიდევ ერთი მხარე და შეეცადა მის დაძაბულებას. პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ კონფლიქტის თეორია მობილიზებულია სოციალურ სტრუქტურებზე და არაფერს ამბობს მოქმედ პირებზე, აგრეთვე მათ აზრებსა და ქმედებებზე ან ცოტა ითქმის ან არაფერი. კოლინზი ემხრობა ფენომენოლოგიურ-ეთნომეთოდოლოგიურ ტრადიციებს, ცდილობს კონფლიქტის თეორია ამ მიმართულებით განავითაროს.

გაცვლის თეორიის აღმოცენება.

მეორე განხორციელებული თეორიული ჩანაფიქრია _ გაცვლის თეორია, რომლის განვითარებაში ძირითად ფიგურად აღიარებულია ჯორჯ ჰომანსი, სოციოლოგი, რომლის შემოქმედებას ჩვენ ადრე შევეხეთ, როდესაც ვიხილავდით ბ.ფ.სკინერის ფსიქოლოგიურ ბიჰევიორიზმს. სკინერის ბიჰევიორიზმი - საფუძველია, როგორც გაცვლის სოციოლოგიური თეორიისა, ასევე ჰომანსის გაცვლის თეორიისა.

თეორიის განვითარების კუთხით პარსონსის დედუქციური სტრატეგიით უკმაყოფილო ჰომანსი ეძიებს სოციოლოგიური თეორიის გაგების რეალურ, ინდუქციურ ალტერნატივას. გარდა ამისა ჰომანსს უნდოდა შორს დაეკავებინა თავი პარსონსისეული სტრუქტურული და კულტურული პოზიციებისაგან და ამის ნაცვლად ყურადღება მიექცია ადამიანებსა და მათ ქცევებზე. ამ მიზნით ჰომანსი მიუბრუნდა თავისი ჰარვარდელი კოლეგის, ბ.ფ.სკინერის შრომას. თავიდან ჰომანსს არ ესმოდა თუ როგორ შეიძლებოდა მტრედების ქცევების ამხსნელი სკინერისეული დებულებები გამოყენებულყოფილიყო სოციალური ქცევების ასახსნელად. მაგრამ, თანდათანობით, რაც უფრო ღრმად შედიოდა ჰომანსი მცირე ჯგუფების სოციოლოგიური გამოკვლევებისა და პირველყოფილი საზოგადოებების ანთროპოლოგიური გამოკვლევების მონაცემებში, შენიშნავს, რომ სკინერის ბიჰევიორიზმი სავსებით გამოყენებადია პარსონსის სტილის სტრუქტურული ფუნქციონალიზმის თეორიულ ალტერნატივად. ყოველივე ამის გაცნობიერება საფუძველად დაედო 1958 წელს გამოცემულ სტატიას „სოციალური ქცევა, როგორც გაცვლა“, ხოლო 1961 წელს, წიგნში „სოციალური ქცევა: მისი ელემენტარული ფორმები“ ჰომანსის პოზიციის სრულმასშტაბიან გადმოცემას. ამ ნაშრომებმა გაცვლის თეორია წარმოადგინა, როგორც

სოციოლოგიის მნიშვნელოვანი პერსპექტივა. მას შემდეგ გაცვლის თეორია ბევრის ყურადღებას იპყრობს, რეაქცია პოზიტივიზაცია და ნეგატივიზაცია.

ჰომანსის თვალსაზრისით, სოციოლოგიის არსი ინდივიდუალური ქცევებისა და ურთიერთქმედებების შესწავლაა. მას ნაკლებად აინტერესებდა ცნობიერება ან მცხვილმაშტაბიანი სტრუქტურებისა და ინსტიტუტების განსხვავებული სახეები, რომლებსაც ბევრი სოციოლოგი ეხება. მისი ძირითადი ინტერესია, ვთქვათ, მხარდაჭერის მოდელები, წახალისების ისტორია და მისი შედეგები, რომლებიც აიძულებდნენ ადამიანებს მოქცეულიყვნენ ისე როგორც იქცევოდნენ. ჰომანსი ამტკიცებდა, რომ ადამიანები აგრძელებენ ადრინდებულად ქცევას, თუ ეს ქცევა წახალისებული იყო, თუ ასეთი ქცევისათვის ადრე დასაჩუქრებული იყო. და პირიქით, თავს იკავებენ ისეთი ქცევებისაგან, რომელთაც ადრე ნეგატიური შედეგები ქონდათ. ქცევის ასახსნელად, პირველ რიგში, საჭიროა გავიგოთ ინდივიდის წახალისებისა და დასჯის ისტორია. ამგვარად, სოციოლოგიის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს არა ცნობიერება და არა სოციალური სტრუქტურა და ინსტიტუტები, არამედ მხარდაჭერის მოდელები.

როგორც სახელწოდებიდან ჩანს, გაცვლის თეორიას აინტერესებს არა მხოლოდ ინდივიდუალური ქცევა, აინტერესებს აგრეთვე ადამიანებს შორის ურთიერთქმედებებიც წახალისებისა და დანახარჯების ჩათვლით. იგულისხმება, რომ, როდესაც არის ურთიერთდასაჩუქრება, ურთიერთქმედებებიც ალბათ გრძელდება. და პირიქით, თუ ურთიერთობები ძალიან ძვირი დაუჯდება ორივე მხარეს, გაგრძელებისაგან ალბათ თავს შეიკავებენ.

მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გაცვლის თეორიაში გადადგა პიტერ ბლაუმ წიგნში „გაცვლა და ძალაუფლება სოციალურ ცხოვრებაში“ (1964). ბლაუ ჰომანსის იდეების მიმდევარია ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებით. თუ ჰომანსი ძირითადად კმაყოფილდება სოციალური ქცევის ელემენტარული ფორმებით, ბლაუმ სურს განავრცოს გაცვლა სტრუქტურულ და კულტურულ დონეზე, იწყებდა რა ინდივიდთაშორის გაცვლით, შემდეგ გადადიოდა უფრო დიდ სტრუქტურებზე, რომლები სწორედ გაცვლის საფუძველზე იქმნებოდნენ. ბლაუ ჩერდებოდა მსხვილმაშტაბიან სტრუქტურებს შორის გაცვლის შესწავლაზე. ეს მიდგომა განსხვავდებოდა ჰომანსის გაცვლის თეორიისაგან. გარკვეული აზრით ეს იყო პარსონსის სტილში თეორეტიზირებისაკენ მიბრუნება, რაც ჰომანსისათვის არაა სასურველი. მიხედვად ამისა, ორივეს პოზიციას, ინტეგრირებული (მიკრო-მაკრო მიდგომა) სახით მნიშვნელოვანი თეორიული ნაბიჯია.

თუმცა ჰომანსი და ბლაუ იწყებდნენ, გაცვლის თეორიის ცენტრალურ ფიგურად მოგვევლინა რიჩარდ ემერსონი. კერძოდ ის ცნობილია მცდელობით შეექმნა გაცვლის თეორიის ინტეგრირებული მოდელი. დღეისათვის გაცვლის თეორია სოციოლოგიური თეორიის მნიშვნელოვანი შემადგენელია და აგრძელებს მომხრეთა მიზიდვასა და ახალი მიმართულებების ათვისებას.

დრამატურგიული ანალიზი: ირვინგ ჰოფმანის შემოქმედება.

ირვინგ ჰოფმანზე (1922-1982) საუბრობენ როგორც უკანასკნელ დიდ მოაზროვნეზე, რომელიც იდგა ჩიკაგოს სკოლის სათავეებთან; ფაინი და მენინგი მას უცილობლად მიიჩნევენ XXს. ამერიკის ყველაზე გავლენიან სოციოლოგად. ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მან მიიღო ჩიკაგოში 1953 წელს, ჰერბერტ ბლუმერის (რომელიც ითვლებოდა ჰოფმანის მასწავლებლად) ჩიკაგოდან ბერკლიში გადასვლიდან ერთი წლის მერე. შემდეგ, ჰოფმანიც მიყვა ბლუმერს და ისინი ერთად ქმნიდნენ და ხვეწდნენ სიმბოლური ინტერაქციონიზმის ცენტრალურ დებულებებს. მაგრამ ბერკლიში შექმნილი ციტუაცია ბევრად განსხვავდებოდა ჩიკაგოს ატმოსფეროსაგან. ის პერიოდი, როდესაც ბლუმერი ითვლებოდა ბრწყინვალე ორგანიზატორად წარსულს ჩაბარდა, ჰოფმანმა კი ვერ შესძლო ასპირანტთა ჯგუფის შემოკრება. 1952 წლის შემდეგ სიმბოლური ინტერაქციონიზმის წარმატებები დადმასვლით შეიცვალა, თუმცა მაინც რჩებოდა მნიშვნელოვან სოციოლოგიურ თეორიად.

მიუხედავად სიმბოლური ინტერაქციონიზმის პრობლემებისა, ჰოფმანი მყარად იკავებს განსაკუთრებულ ადგილს თანამედროვე სოციოლოგიურ თეორიაში. 1950-დან, 1970-წლებამდე ჰოფმანი გამოსცემს ნარკვევებისა და წიგნების მთელ სერიალს, რომელშიც ჩაისახა დრამატურგიული ანალიზი, როგორც ვარიანტი სიმბოლური ინტერაქციონიზმისა. მოგვიანებით ჰოფმანი შეიცვლის შეხედულებებს, მაგრამ ის მაინც ცნობილია, როგორც დრამატურგიული თეორიის ავტორი.

გახმაურებულ ნაშრომში „ყოველგღიურ ცხოვრებაში საკუთარი თავის სხვისადმი წარდგენა“, რომელშიც გადმოცემულია ჰოფმანის დრამატურგიული თეორია, დაიბეჭდა 1959 წელს. ჰოფმანი ბევრ საერთოს ხედავს თეატრალურ წარმოდგენებსა და იმ თავისებურ „აქტებს“ შორის, რომელთაც ჩვენ ვქმნით ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში და შესაბამისად, ურთიერთქმედებებში. სოციალურ სფეროში განხორციელებული ურთიერთქმედებები ძალზე ფაქიზია და მყიფე. ცუდი შესრულება ანალოგიურად თეატრალური წარმოდგენისა განიხილება, როგორც ჩავარდნა, მუქარა სოციალური ურთიერთქმედებისათვის.

ჰოფმანმა შორს შესტოპა, როდესაც გაავლო ანალოგია სცენასა და სოციალურ ურთიერთქმედებებს შორის. ყოველ სოციალურ ურთიერთქმედებებში არის წინა ნაწილი, რომელსაც თეატრალურ წარმოდგენაში ავანსცენა შეესაბამება. მიჩნეულია, რომ სცენაზე მოქმედი პირებისათვის, ისევე, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელობა აქვს გარეგნულ ხედს, კოსტუმებს, გამოყენებულ რეკვიზიტს. გარდა ამისა, ერთსაც და მეორესაც, აქვს მეორე ნაწილი, სადაც მოქმედი პირები მიდიან შემდეგი სცენისათვის მოსამზადებლად. სცენის სიღრმეში ან კულისებს მიღმა, თუ ვიტყვით თეატრალური ენით, შემსრულებლებს შეუძლიათ მოიცილონ ნიღბები და იყონ ის რაც ნამდვილად არიან.

დრამატურგიული ანალიზი კოხტა თანხმობაშია თავის სიმბოლურ-ინტერაქციონურ ფესვებთან. ანალიზის პროცესში ცენტრალური ადგილი მიეკუთვნება ქმედებისა და ურთიერთქმედების მოქმედ პირს. იმავე არენაზე, სადაც ჩაისახა სიმბოლური ინტერაქციონიზმი, ჰოფმანი თეატრის

მაგალითით მიაგნებს ბრწყინვალე მეტაფორას და ამ გზით მოფენს ნათელს მცირემაშტაბიან სოციალურ პროცესებს.

დღეს ჰოფმანის შრომებს ბევრი კითხულობს და ავტორის ორიგინალურობისა და გამჭრიახობის წყალობით აღიარებულიცაა. არსებობს რამოდენიმე კრიტიკული შენიშვნაც ჰოფმანის შემოქმედებაზე. ჯერ-ერთი, ზოგიერთები თვლიან, რომ ჰოფმანს უფრო აინტერესებდა ეზოთერული თემები, ვიდრე სოციალური ცხოვრების ნამდვილად არსებითი მხარეები. ის იყო მიკროთეორეტიკოსი იმ ერაში სადაც დიდი ჯილდოები ენიჭებოდათ მაკროთეორიის შემქმნელებს. როგორც რენდალ კოლინზი ამბობდა: „რაც უფრო მეტ ხანს ვუყურებთ ჩვენ ამ ნაშრომს (ჰოფმანის), მით უფრო ვრწმუნდებით, რომ ის იყო ჩვენი დროის მიკროსოციოლოგიის წამყვანი ფიგურა“ (1981, გვ.6). მესამე, ბევრმა ვერ შეძლო ჰოფმანის იდეებისთვის თეორიული ბაზის დადგენა. სინამდვილეში, ზოგიერთები ვარაუდობდნენ, რომ ჰოფმანის შემოქმედებას საფუძვლად ვერ გამოიყენებ. ის შეიძლება განიხილო, მხოლოდ როგორც ბრწყინვალე გამჭრიახობის იდიოსინკრეტული გაბრწყინებების სერია. და ბოლოს, ცოტაა დრამატურგიულ ტრადიციებში შესრულებული შრომები.

ერთადერთი სფერო სადაც ჰოფმანის შემოქმედება ძალზე სასარგებლო აღმოჩნდა, იყო ემპირიული გამოკვლევები, რომელმაც გამოიყენა მისი დრამატურგიული მიდგომა. ყოველდღიურობის სოციოლოგიის განვითარება

60-70-იანი წლები მოწმეა რამოდენიმე თეორიული ძიებების ირგვლივ შექმნილი ბუმისა, რომელთა გაერთიანება შეიძლება ერთი სახელწოდებით - ყოველდღიურობის სოციოლოგია.

ფენომენოლოგიური სოციოლოგია და ალფრედ შუცის (1899-1959) ნაშრომი.

ფენომენოლოგიის ფილოსოფიას, რომლის ყურადღების ცენტრში ცნობიერებაა, დიდი ხნის ისტორია აქვს. ფენომენოლოგიის სოციოლოგიური ვარიანტის დამუშავების მცდელობად შეიძლება ჩავთვალოდ 1932 წელს გერმანიაში გამოსული ალფრედ შუცის წიგნი „სოციალური სამყაროს ფენომენოლოგია“. 1967 წელს ის პირველად ითარგმნა ინგლისურ ენაზე, სწორედ ამიტომ მხოლოდ ახლახან იქონია ძლიერი ეფექტი ამერიკულ სოციოლოგიურ თეორიაზე. შუცი ჩადის აშშ 1939 წელს, გაექცევა რა ნაცისტებს, რომალთაც დაიკავეს ავსტრია. მალე ის მიიღებს ადგილს ნიუ-იორკში სოციალური გამოკვლევების ახალ სკოლაში (New School for Social Research) და შეძლებს მუშაობის დაწყებას ფენომენოლოგიური, ხოლო მოგვიანებით ეთნომეთოდოლოგიური სოციოლოგიის განვითარებაზე აშშ-ში.

შუცი ეყრდნობა ედმუნდ ჰუსერლის ფენომენოლოგიურ ფილოსოფიას. მას ძირითადად აინტერესებდა თუ როგორ წვდებიან ადამიანების სხვათა ცნობიერებას, მაშინ როდესაც ცხოვრობენ საკუთარი ცნობიერების ნაკადის ჩარჩოებში. შუცი ასევე გამოიყენებს ინტერსუბიექტურობის ცნების გაფართოებულ ვარიანტს რათა დააფიქსიროს მიმართება სოციალურ სამყაროსთან, განსაკუთრებით ცოდნის სოციალურ ბუნებასთან.

შუცის მრავალი შრომა აქცენტირებს სოციალური ცხოვრების ასპექტზე, რომელსაც ცხოვრებისეული სამყარო ან ყოველდღიურობა ეწოდება. ეს ინტერსუბიექტური სამყაროა,

რომელშიც ადამიანები გამოდიან, ერთი მხრივ, როგორც სოციალური რეალობის შემქმნელები, ხოლო მეორე მხრივ, თავს იკავებენ ადრე, წინაპრების მიერ შექმნილი სოციალური და კულტურული სტრუქტურებით. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრებისეულ სამყაროში ბევრი რამ გაზიარებულია ადამიანების მიერ, არსებობს აგრეთვე ამ სამყაროს კერძო (ბიოგრაფიულად განსაზღვრული) ასპექტები. „ცხოვრებისეული სამყაროს“ ცნების შიგნით შუცი ანსხვავებს პირისპირ არსებულ ინტიმურ მიმართებებს („ჩვენ-მიმართებებს“) და თავშეკავებულ უსახურ მიმართებებს („ის-მიმართებები“). თუმცა პიროვნებათშორისო ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ცხოვრებისეულ სამყაროში, სოციოლოგებისათვის მეცნიერული თვალსაზრისით ბევრად უფრო ადვილია უპირობო ხასიათის მიმართებების კვლევა. დროთა განმავლობაში შუცს გაუნელდა ინტერესი ცნობიერების პრობლემებისადმი და გადაერთო ინტერსუბიექტურ ცხოვრებისეულ სამყაროზე, მაგრამ ის გვთავაზობს წინადადებებს ცნობიერების შესახებ, კერძოდ, თავის განაზრებებს ადამიანურ მოტივებზე და მათ მნიშვნელობაზე.

შუცს აინტერესებდა დიალექტიკური მიმართება წესისა, რომლითაც ადამიანები აგებენ სოციალურ რეალობას და სოციალური და კულტურული სინამდვილის სიმკაცრე, რომელსაც ისინი მემკვიდრეობით იღებენ სოციალურ სამყაროში თავიანთი წინამორბედებისაგან.

60-იანის შუახანები კრიტიკული გახდა ფენომენოლოგიური სოციოლოგიის განვითარებისათვის. ეს პერიოდი აღინიშნება შუცის ძირითადი ნაშრომის თარგმნითა და მისი ნარკვევების კრებულის გამოცემით. ამავე პერიოდში პიტერ ბერგერი და თომას ლუკმანი ერთობლივად მუშაობენ წიგნზე „რეალობის სოციალური კონსტრუირება, რომელიც გახდა იმ დროის ერთ-ერთი კითხვადი თეორიული ნაშრომი. მას ორი მნიშვნელოვანი წვლილი მიეწერება. ჯერ-ერთი, ამ წიგნმა შუცის იდეები მიაწოდა ფართო ამერიკულ საზოგადოებას გასაგებ სტილში. მეორე, აქ მოცემულია მცდელობა შუცის შეხედულებების შეერთებისა სოციოლოგიის ძირითადი მიმართულების თვალსაზრისთან.

ეთნომეთოდოლოგია.

მიუხედავად არსებითი განსხვავებისა ეთნომეთოდოლოგიასა და ფენომენოლოგიას ხშირად აიგივებენ ერთმანეთთან. მოცემული ფაქტი ნაწილობრივ შეიძლება იმით აიხსნას, რომ ახალი თეორიული მიმართულების დამფუძნებელი - ჰაროლდ გარფინკელი ახალ სკოლაში იყო ალფრედ შუცის მასწავლებელი. საინტერესოა, რომ გარფინკელი ადრე იყო პარსონსის მოწაფე და სწორედ პარსონსისა და შუცის იდეების გაერთიანება შეუწყობს ხელს ეთნომეთოდოლოგიის ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ სოციოლოგიურ დისციპლინად.

ჰილბერტმა ცოტა ხნის წინ ნათელი მოჰფინა გარფინკელის იდეებისა და მთლიანად ეთნომეთოდოლოგიის წყაროებს. მიუხედავად იმისა, რომ გარფინკელი იყო პარსონსის მოწაფე, ის უარყოფს მასწავლებლის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ შეხედულებებს და მხოლოდ თანდათანობით მივა იმ კლასიკურ სოციოლოგიურ შეხედულებებთან, რომლებიც ასახულია დურკჰემისა და ვებერის შრომებში. კერძოდ, ეთანხმებოდა რა პარსონსის ძირითად იდეებს, მაგალითად იმაში, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმატიულ მოთხოვნებსა და ერთობლივ

შეთანხმებებს, გარფინკელი არ ღებულობა მის მთავარ წანამდღვრს, რომლის თანახმად: ნორმატიული წესრიგი დამოუკიდებელია ქცევითი წესრიგისაგან და გავლენას ახდენს (სოციალიზაციის წყალობით) ქცევის წესების დაცვაზე. პარსონსის თეორიული აბსტრაქციების ნაცვლად გარფინკელის ყურადღების ცენტრშია ყოველდღიური სამყაროს ემპირიული გამოკვლევები. ამგვარად, გარფინკელი აგრძელებს საზოგადოებაში წესრიგი პრობლემების კვლევის პარსონსისეულ ტრადიციას არა თეორიაში, არამედ „დეტალურად იხილავს მათ არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში. . . რათა გადაჭრას ეს პრობლემები“. თავის გამოკვლევებში გარფინკელი აღმოაჩენს სოციოლოგიური პრინციპების ნაირსახეობებს, რომლებიც თანხმობაში არიან დურკჰემისა და ვებერის შრომებთან. ჯერ-ერთი, მან აღმოაჩინა, რომ სოციალური სამყარო არ არის გასაგნობრივებული. ეს არ ეთანხმება პარსონსის ტენდენციას გასაგნობრივოს კულტურული (და სოციალური) სისტემები, სამაგიეროდ ეხმიანება ვებერის უარს მატერიალიზებულ იქნას სოციალური სტრუქტურა და ასევე დურკჰემის ტენდენციას გასაგნობრივების გარეშე გამოიკვლიოს გარეგანი და იძულებითი სოციალური ფაქტორები. მეორე, გარფინკელისათვის აუცილებელი ემპირიული გამოკვლევები ეწინააღმდეგება პარსონსის სწრაფვას შეექმნა მეცნიერული თეორია და უფრო თანხმობაშია დურკჰემისა და ვებერის მიმართებასთან ემპირიზმში.

1952 წელს ჰარვარდში დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ გარფინკელი მკვიდრდება ლოს-ანჯელესში, კალიფორნიის უნივერსიტეტში. სწორედ აქ გარფინკელი თავის ასპირანტებთან ერთად დაამუშავებს ეთნომეთოდოლოგიას. წლების განმავლობაში მისი გარემოცვიდან გამოდის ბევრი დიდი ეთნომეთოდოლოგი. თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ეთნომეთოდოლოგია დასავლეთის სანაპირო პირმშროა და დიდხანს ინარჩუნებდა იქ ცენტრალურ პოზიციებს. დღეს ეთნომეთოდოლოგებს შეიძლება შეხვდეთ მთელს აშშ და სხვა ქვეყნებშიც, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში.

1967 წელს გარფინკელის ნაშრომის „გამოკვლევები ეთნომეთოდოლოგიაში“ გამოქვეყნებას მოყვა მისი ფართო საზოგადოებრივი აღიარება. თუმცა წიგნი დაწერილია ძნელადგასაგები ენით, მან მაინც გამოიწვია დიდი ინტერესი. ის ფაქტი, რომ ამავდროულად ქვეყნდება შუცის „სოციალური სამყაროს ფენომენოლოგია“ და ასევე, ბერგერისა და ლუკმანის „რეალობის სოციალური კონსტრუირება“, თითქოსდა მიუთითებს იმაზე, რომ ყოველდღიურობის სოციოლოგიამ მიაღწია განვითარების პიკს.

არსებითად, ეთნომეთოდოლოგია _ ეს არის „გონიერი ცოდნის სტრუქტურა და იმ ოპერაციებისა და მოსაზრებების (მეთოდების) სერია, რომელთა საშუალებით საზოგადოების ჩვეულებრივი წევრები იგებენ ამ ცოდნის აზრს, იქმნიან მისკენ გზებს და მოქმედებენ იმ ვითარების შესაბამისად, რომელშიც იმყოფებიან“. ძნელი სათქმელია, რომ ამ მიმდინარეობის მწერლები მუშაობდნენ ყოველდღიური ცხოვრების გამოკვლევების მიმართულებით. მაშინ, როდესაც სოციოლოგი-ფენომენოლოგები აქცენტირებდნენ იმაზე, თუ რას ფიქრობენ ადამიანები, ეთნომეთოდოლოგებს უფრო აინტერესებდა თუ რას აკეთებენ ისინი. მგვარად, ეთნომეთოდოლოგებმა დიდი ყურადღება დაუთმეს საუბრების დეტალურ გამოკვლევას. ამგვარი მშვიდობიანი ინტერესები სავსებით ეწინააღმდეგება ძირითადი მიმართულების სოციოლოგების ინტერესებს ისეთი აბსტრაქციების მიმართ, როგორებიცაა ბიუროკრატია,

კაპიტალიზმი, შრომის დანაწილება და სოციალური სისტემები. ეთნომეთოდოლოგებს შეიძლება აინტერესებდათ კიდევ წესი, რომლის საშუალებით წარმოდგებიან ეს სტრუქტურები ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ თავად სტრუქტურები, როგორც ფენომენები მათ ინტერესებს გარეთაა.

ეთნომეთოდოლოგია ემპირიული ხასიათისაა. ეთნომეთოდოლოგებს კი მოსწონთ თეორეტიზირება სოციალურ სამყაროზე, მაგრამ უპირატესობას ანიჭებენ მის ადგილზე შესწავლას. ეს ეჭვს ბადებს ეთნომეთოდოლოგების მოცემულ წიგნში ჩართვის სამართლიანობაში. როგორც ბატონი ამბობდა, „ეთნომეთოდოლოგია. . . არასოდეს არ იყო ჩართული თეორეტიზირების საქმეში“ ან „აზრი, რომ ეთნომეთოდოლოგია არის თეორია, გააოგნებდა მრავალ ეთნომეთოდოლოგს“. მაგრამ ეთნომეთოდოლოგია განიხილება ამ წიგნში ორი მიზეზის გამო. ჯერ-ერთი, მისი ჩასახვის ძირითადი წანამდღვრი იყო სოციალური თეორიის სხვადასხვა ასპექტების კრიტიკა, და ამ თავდასხმებიდან ჩვენ ბევრს ვგებულობთ ეთნომეთოდოლოგიის (და ტრადიციული თეორიის) შესახებ. მეორე, ეთნომეთოდოლოგიური გამოკვლევების მიღწევები გამოიყენებიან ყოველდღიურობის თეორიის შესაქმნელად (ამას ვნახავთ ენტონი გიდენსის შემოქმედების მაგალითზე).

როგორც ეტყობა, არსებობს რაღაც ეთნომეთოდოლოგიასთან დაკავშირებული რაც აშინებს ძირითადი მიმართულების სოციოლოგებს, რომლებიც ჯერ კიდევ დისციპლინის ჩარჩოებში იყვნენ მოქცეულნი. ფაქტობრივად, ფენომენოლოგია, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ეთნომეთოდოლოგიაც ძირითადი მიმართულების სოციოლოგების მხრიდან რამოდენიმეჯერ იყვნენ თავდასხმის ობიექტები. აი ორი მაგალითი. პირველი აღებულია ჯეიმს კოულმენის რეცენზიიდან გარფინკელის წიგნზე „გამოკვლევები ეთნომეთოდოლოგიაში“: გარფინკელმა საერთოდ ვერ მოახერხა ჩასწვდომოდა მოცემული მიდგომის არსს... შეიძლება პროგრამა უფრო წარმატებული იქნებოდა ვინმე სხვა, უფრო გამჭრიახის ხელში, მოცემულ შემთხვევაში იშვიათად არაეფექტური აღმოჩნდა... ეს თავი კიდევ ერთი დიდი უბედურებაა, რომელშიც შერწყმულია სპეციალისტების ცივი გათვლები, აღფრთოვანებას რომ იწვევს მათემატიკის ცოდნით, ტექნიკური სუმბური, შეცდომები, ემოციურ კლინიცისტს რომ ახასიათებს, ასევე, გამჭრიახობის, ტექნიკურად კომპეტენტური შემოქმედებითი მოაზროვნისა და კარგად მომზადებული სოციოლოგის დეფიციტი.

და მაინც, გარფინკელი ისე კარგად აანალიზებს საკმაოდ ბანალურ საკითხებს, რომ უბრალო ინგლისურ ენაზე გამოცემული გინებად მოგვეჩვენებოდა. რადგან ეს ასეა, ამიტომ კითხვისათვის დაკარგული დროის კოეფიციენტის მიმართება ინფორმაციის გადაცემისათვის საჭირო დროის კოეფიციენტთან ძალზე მაღალია, ასე რომ, კითხვის პროცესში ტრივიალობებს ვერ ამჩნევ.

მეორე მაგალითი, ლუის კოიზერის მიერ 1975 წელს გაკეთებული საპრეზიდენტო მიმართვა ამერიკის სოციოლოგიური ასოციაციისადმი. კოიზერი ცოტას ამჩნევდა ეთნომეთოდოლოგიაში დადებით მომენტებს და მკაცრად აკრიტიკებდა მას, უფრო კი ლანძღავდა და აკერებდა „ბანალურობის“, „სინამდვილიდან მასობრივი გაქცევის“, „სუბიექტურობის ორგის“ იარლიკებს. ამ და სხვა თავდასხმების სიმწარე იმის მაჩვენებელია თუ რა დოზით წარმოადგენენ ისინი საფრთხეს სოციოლოგიისათვის.

დღეისათვის ეთნომეთოდოლოგიამ დასძლია ადრინდელი ოპოზიციის მნიშვნელოვანი ეტაპი და მნიშვნელოვანწილად იქცა სოციოლოგიური თეორიის აღიარებულ კომპონენტად. მაგალითად, დღეს ჩვეულებრივი მოვლენაა ეთნომეთოდოლოგების სტატიები სოციოლოგიის ძირითადი მიმართულების ჟურნალებში, როგორცაა „ამერიკული სოციოლოგიური მიმოხილვა“. მაგრამ, როგორც ხუმრობით შენიშნა პოლნერმა: ეს არაა სრული აღიარება, ცოტა არიან სოციოლოგები ვინც თავის შვილს მიათხოვებს ეთნომეთოდოლოგს, მით უმეტეს არ უნდა, რომ შვილი გახდეს ეთნომეთოდოლოგი და ამიტომ იშვიათად მიმართავენ მათ. და მაინც, დისციპლინა აღიარებს და ანხორციელებს იმათ წვლილს, ვისაც ადრე განკიცხულივით უყურებდა. სხვა ეთნომეთოდოლოგები წუწუნებენ, რომ მათი მიმართულება დამახინჯებულია, რომ მიიყვანილია აბსურდამდე და არასწორადაა გაგებული.

ამ წიგნის უკანასკნელი გვერდები ეძღვნება ზოგიერთ მიკროთეორიას: გაცვლის თეორიას, ფენომენოლოგიურ თეორიას და ეთნომეთოდოლოგიას. თუმცა ორ ბოლო თეორიაში იზიარებენ აზრს მოაზროვნე და შემოქმედებითად მოქმედ პირზე, რასაც არ ეთანხმება გაცვლის თეორია. და მაინც, სამივე თეორიას თავიდან ახასიათებდა მიკროორიენტაცია შემსრულებელზე, მის ქმედებებსა და ქცევებზე. 70-იან წლებში მსგავსი თეორიები დამკვიდრდნენ სოციოლოგიაში და მზად იყვნენ ჩაენაცვლებინათ უფრო მაკროორიენტირებული თეორიები (როგორცაა, სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, კონფლიქტის თეორია, ნეომარქსისტული თეორია) როგორც სოციოლოგიაში დომინანტური თეორიები.

სტრუქტურალიზმი და პოსტსტრუქტურალიზმი.

მოვლენა, რომელსაც კავშირი აქვს მოცეულ საკითხთან, და რომელსაც ჩვენ ოდნავ შევხებით კიდევ, არის ინტერესის ზრდა სტრუქტურალიზმის მიმართ. ჩვეულებრივ საფრანგეთში გამოვლენილი სტრუქტურალიზმი დღეს საერთაშორისო ფენომენია. მიუხედავად იმისა, რომ მისი სათავეები სოციოლოგიას გარეთაა, მან გაიკვლია გზა სოციოლოგიისაკენ. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სტრუქტურალიზმი სოციოლოგიაში ჯერ იმდენად არ არის დამუშავებული, რომ მიეცეს ზუსტი განმარტება. სიტუაციას ისიც ამწვავებს, რომ თუმცა სტრუქტურალიზმი მეტნაკლებად ერთდროულად ვითარდება ცოდნის სხვადასხვა სფეროებში, ძნელია დავასახელოთ სტრუქტურალიზმის რომელიმე თანმიმდევრული დებულება. სინამდვილეში, სტრუქტურალიზმის განსხვავებული მიმდინარეობები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

სტრუქტურალიზმის შესახებ წინასწარი შხედულებების ჩამოყალიბება შესაძლებელია თუ ჩვენ გავეცნობით სტრუქტურალისტური მიმართულების მიმდევართა შორის არსებულ განსხვავებებს. ერთნი აკეთებენ აქცენტს, როგორც თავად უწოდებენ ამ ფენომენს „გონების სიღრმისეულ სტრუქტურებზე“. ეს თვალსაზრისი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ქვეცნობიერი სტრუქტურები განაპირობებენ ადამიანის აზრებსა და ქმედებებს ისე, როგორც ისინი იქცევიან. ამ მიმდინარეობის მაგალითად შეიძლება ავიღოთ ფსიქოანალიტიკოსის ზიგმუნდ ფროიდის შემოქმედება. სხვა სტრუქტურალისტები მეტ ყურადღებას უთმობენ საზოგადოების უფრო მსხვილ და უხილავ სტრუქტურებს და განიხილავენ მათ, როგორც ადამიანებისა და მთლიანად საზოგადოების ქმედებების დეტერმინანტებად. ზოგჯერ ვარაუდობენ, რომ სტრუქტურალიზმის

ეს ფორმა გამოყენებული აქვს მარქსს, რომელიც აქცენტირებდა კაპიტალისტური საზოგადოების უხილავ ეკონომიკურ სტრუქტურებზე. და ბოლოს, რიგის სტრუქტურალისტები იკვლევენ ინდივიდსა და სოციალურ სტრუქტურებს შორის არსებულ დიალექტიკურ ურთიერთობებს. ისინი განიხილავენ კავშირებს გონების სტრუქტურებსა და საზოგადოების სტრუქტურებს შორის. ამ თვალსაზრისთან ხშირად აკავშირებენ ანთროპოლოგი ლევი-სტროსის სახელთან.

სოციოლოგიის ჩარჩოებში სტრუქტურალიზმის განვითარების პარალელურად სოციოლოგიის გარეთ ჩაისახა მოძრაობა, რომელიც არღვევს სტრუქტურალიზმის ამოსავალ წანამდგვრებს, ესაა პოსტსტრუქტურალიზმი. პოსტსტრუქტურალიზმის ძირითადი წარმომადგენელია - მიშელ ფუკო. ადრინდელ ნაწარმოებებში ფუკო ყურადღებას ამახვილებდა სტრუქტურებზე, მაგრამ მოგვიანებით გადალახა ეს ზღვარი და გადადის ძალაუფლებაზე და ძალაუფლებასა და ცოდნას შორის დამოკიდებულების საკითხზე. ზოგადად, პოსტსტრუქტურალისტები არ უარყოფენ სტრუქტურების მნიშვნელობას, მაგრამ ინტერესების დიაპაზონის გასაფართოებლად არღვევენ მისჩარჩოებს.

პოსტსტრუქტურალიზმი საინტერესოა არა მხოლოდ თავისთავად, არამედ კიდევ იმიტომ, რომ მას ხშირად განიხილავენ პოსტმოდერნიზმის (შეგვებით ამავე თავში, ცოტა მოგვიანებით) წინამორბედად. სინამდვილეში კი ძალიან რთულია თუ შეუძლებელიც არა, მკაცრი სადემარკაციო ხაზი გაავლო პოსტსტრუქტურალიზმსა და პოსტმოდერნიზმის სოციალურ თეორიას შორის. ამგვარად, პოსტსტრუქტურალისტ ფუკოს ხშირად განიხილავენ პოსტმოდერნისტად, მაშინ როდესაც ჟან ბორდიარის მოღვაწეობას, რომელსაც ხშირად მიაკერებენ ხოლმე პოსტმოდერნისტის იარლიკს, სინამდვილეში აქვს პოსტსტრუქტურალისტური ხასიათი, განსაკუთრებით კარიერის დასაწყისში.

ქმედებისა და სტრუქტურის ინტეგრაცია

აშშ მიკრო-მაკროინტეგრაციისადმი ინტერესის ზრდის პარალელურად ევროპაში შეიმჩნეოდა ყურადღების ზრდა აგენტ - სტრუქტურული ინტეგრაციისადმი. ზუსტად ისე, როგორც მე განვიხილავდი მიკრო-მაკრო პრობლემას, როგორც ამერიკული თეორიის ცენტრალურ ამოცანას, ასევე მარგარეტ არჩერი ქმედებისა და სტრუქტურის თემას მიიჩნევს ევროპული სოციალური თეორიის ცენტრალურ საკითხად.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე თემაზე შექმნილ ლიტერატურაში ადვილად შეიმჩნევა მსგავსი ნიშნები, მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მაგალითად ისეთი კოლექტივები, როგორებიცაა შრომითი კავშირები ასევე შეიძლება გამოვიდნენ აგენტების როლში, რომლებიც ჩვეულებრივ განიხილებიან მიკროდონეზე. და, პირიქითაც, სტრუქტურები, ჩვეულებრივ რომ წარმოადგენენ მაკროდონის ფენომენებს, შეიძლება შევნიშნოთ მიკროდონეზეც. ამგვარად, ჩვენ ყურადღებით უნდა ვიყოთ, როდესაც ვსვამთ ტოლობის ნიშანს ამ ორ მიმართულებას შორის.

ქმედებისა და სტრუქტურის ინტეგრაციის პრობლემასთან დაკავშირებით ევროპულ სოციალურ თეორიაში არსებობს ოთხი ძირითადი თვალსაზრისი. პირველია _ ენტონი გიდენსის სტრუქტურაციული თეორია. გიდენსის მიდგომაში მთავარია ის, რომ ქმედებას და სტრუქტურას ის განიხილავს როგორც „დუალობას“. ეს ნიშნავს, რომ მათი ერთმანეთისაგან იზოლირება

შეუძლებელია: აგენტი ჩართულია სტრუქტურაში, ხოლო სტრუქტურა ჩართულია აგენტში. გიდენსი უარს ამბობს მიანიჭოს სტრუქტურას უბრალო შეზღუდვისა და იძულების (როგორც მაგალითად დურკჰემი) ფუნქცია, მაგრამ უყურებს მას, როგორც შეკავების და ასევე შესაძლებლობის გარანტს. მარგარეტ არჩერი არ თვლის შესაძლებლად აგენტსა და სტრუქტურას მიუდგე, როგორც დუალობას, განიხილავს მათ უფრო როგორც დუალიზმს. ეს ნიშნავს, რომ ქმედება და სტრუქტურა უნდა იყონ იზოლირებულნი. თუ მათ განვასხვავებთ, ამით უფრო მოვახერხებთ მათი ერთმანეთთან მიმართების ანალიზს. არჩერი ცნობილია კიდევ იმიტომ, რომ აგენტ-სტრუქტურული ინტეგრაციაზე ლიტერატურაში წამოსწია თემა კულტურისა და ქმედების ურთიერთობაზე, ხოლო სულ ახლახან განავითარა უფრო ზოგადი აგენტ-სტრუქტურული თეორია.

თუ გიდენსი და არჩერი ბრიტანეთიდან არიან, ქმედებისა და სტრუქტურის ინტეგრაციასთან კავშირის მქონე მესამე ძირითადი ფიგურა არის ფრანგი პიერ ბურდიე. ბურდიეს შემოქმედებაში ქმედება-სტრუქტურის პრობლემა გადაიზრდება ჰაბიტუსისა და ველის შესაბამისობისადმი ინტერესში. ჰაბიტუსი _ ესაა ინტერნალიზირებული ფსიქიკური, ან კოგნიტიური, სტრუქტურა, რომლის საშუალებით ადამიანები ურთიერთმოქმედებენ სოციალურ სამყაროსთან. ჰაბიტუსი აყალიბებს საზოგადოებას, ამავე დროს თავადაც ყალიბდება საზოგადოებაში. ველი _ ეს არის მიმართებები ობიექტურ ვითარებებს შორის. ველის მოვალეობაა შეაკავოს აგენტები, სულერთია ინდივიდუალური თუ კოლექტიური. მთლიანობაში ბურდიეს აინტერესებს მიმართება ჰაბიტუსსა და ველს შორის, დიალექტუიკური მიმართება.

აგენტ-სტრუქტურული დამოკიდებულების ბოლო ძირითადი თეორეტიკოსია _ გერმანელი სოციალური მოაზროვნე იურგენ ჰაბერმასი. ჩვენ ის ზემოთ ვახსენეთ, როგორც ჩვენი თანამედროვე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა კრიტიკული თეორიის განვითარებაში. ჰაბერმასი ასევე მუშაობდა ქმედებისა და სტრუქტურის ინტეგრაციის პრობლემაზე, რომლის ჩარჩოებში განიხილავდა „ცხოვრებისეული სამყაროს კოლონიზაციის“ პრობლემას. ცხოვრებისეული სამყარო ეს მიკროსამყაროა, სადაც ადამიანები ურთიერთმოქმედებენ. სისტემის საწყისები ცხოვრებისეულ სივრცეშია, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ის ანვითარებს საკუთარ სტრუქტურულ მახასიათებლებს. რადგან ეს სტრუქტურები ვითარდებიან დამოუკიდებლად და ინტენსიურად აუცილებელია ცხოვრებისეული ცივრცის კონტროლის გაძლიერება. თანამედროვე სამყაროში სისტემა მივიდა „კოლონიზაციამდე“, ე.ი. ცხოვრებისეული სივრცის კონტროლის აუცილებლობამდე.

თეორეტიკოსები, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ ამ ნაწილში აღიარებული არიან არა მხოლოდ როგორც ქმედებისა და სტრუქტურის წამყვან სპეციალისტებად, არამედ ჩვენი დროის წამყვან თეორეტიკოსებად (განსაკუთრებით, ბურდიე, გიდენსი, ჰაბერმასი). ამერიკელი თეორეტიკოსების (მიდი, პარსონსი, ჰომანსი) ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ ეტყობა სოციალური თეორიის ცენტრი უბრუნდება თავის სამშობლოს - ევროპას. მეტიც, ნედელმანმა და შტომპკამ დაამტკიცა, რომ ცივი ომისა და კომუნიზმის რღვევის შემდეგ ჩვენ გავხდებით „ევროპული სოციოლოგიის ოქროს ერის მოწმე“. ამ მტკიცების სამართლიანობას ასაბუთებს ის ფაქტიც, რომ შრომები, რომლებიც დღეს მსოფლიო თეორეტიკოსების ყურადღების ცენტრშია შექმნიეს ევროპელებმა. ამის მაგალითია - ულრიხ ბეკის „რისკის საზოგადოება: ახალი

თანამედროვეობისაკენ მიმავალ გზაზე”, სადაც ის იხილავს დღევანდელ საზოგადოებაში რისკის უპრეცედენტო მაგალითებს. ცხადია, რომ, ყოველ შემთხვევაში დღეისათვის სოციოლოგიური კვლევის ცენტრმა გადმოინაცვლა ევროპაში.

თანამედროვეობისა და პოსტთანამედროვეობის თეორიები.

XXI საუკუნეში, სოციალური თეორეტიკოსების (აქ „სოციოლოგიურის“ ცნებას შევცვლი „სოციალურით“, რადგან მათი უმრავლესობა ვინც შექმნა თანამედროვე ლიტერატურა არ იყვნენ სოციოლოგები, თუმცა მათი თეორიული განაზრებები შეეხებოდა სოციალურ სამყაროს) საუკუნეში შესვლის კვალობაზე ჩვენ სულ უფრო გვაწუხებს კითხვა: განიცადა თუ არა საზოგადოებამ და, ასევე, მის შესახებ თეორიებმა ტრანსფორმაცია? ერთ-ერთი პოზიცია წარმოდგენილია თეორეტიკოსების ჯგუფის შემოქმედებაში (მაგალითად, იურგენ ჰაბერმასისა და ენტონი გიდენსის), რომელთა ვარაუდით, ჩვენ ვაგრძელებთ ცხოვრებას საზოგადოებაში, რომელსაც სამართლიანი იქნება თუ დავარქმევთ თანამედროვეს, და რომლის მიმართაც ჩვენ ვთხოვავთ თეორიებს იგივე წესით, რომელსაც სოციალური მოაზროვნეები იყენებდნენ მრავალი წლის განმავლობაში. მოაზროვნეთა სხვა ჯგუფი სხვა თვალსაზრისისაა (მაგალითად, ჟან ბორდიარი, ჟან-ფრანსუა ლიოტარი და ფრედრიკ ჯეიმსონი), რომლების ამტკიცებენ, რომ საზოგადოება შეიცვალა ისე მკვეთრად, რომ ჩვენ დღეს ვიმყოფებით თვისობრივად სხვა, პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში. მეტიც, ისინი ამტკიცებენ, რომ ამ ახალ საზოგადოებაზე მსჯელობებისათვის აუცილებელია ახალი წესები.

პოსტმოდერნიზმის მოძღვრებები.

პოსტმოდერნიზმი ხშირ გაცხოველებულ კამათს იწვევს ის იმდენად საჭირობოროტოა, რომ ცხარე განხილვის საგანია ცოდნის ყველა სფეროში, მათ შორის სოციოლოგიაშიც, ასე, რომ შეიძლება „ამოწურა კიდევ საკუთარი თავი“. ჩვენ აუცილებლოდ უნდა განვასხვავოთ, პირველ ეტაპებზე მაინც, პოსტთანამედროვე და პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიები. პოსტთანამედროვეობა - ეს არის ახალი ისტორიული ეპოქა, რომელმაც შცვალა, როგორც ვარაუდობენ, თანამედროვე ერა ანუ თანამედროვეობა. პოსტმოდერნისტული სოციალური თეორია წარმოადგენს პოსტთანამედროვეობის ახალ კონცეფციას; სამყარო იმდენად განსხვავებულია, რომ მოითხოვს აზროვნების ახალ წესს. პოსტმოდერნისტები უარყოფენ იმ თეორიულ პერსპექტივებს, რომლებიც წინა თავშია აღწერილი, ასევე იმ საშუალებებს რომლებითაც იქ მოხსენებული მოაზროვნეების ქმნიდნენ თავიანთ თეორიებს.

სავარაუდოთ, პოსტთანამედროვეობის აღწერის იმდენი ნაირსახეობა გვაქვს, რამდენიც პოსტთანამედროვეობის სოციალური თეორეტიკოსი გვყავს. ვითარების გამარტივების მიზნით ჩვენ შევაჯამებთ ყველაზე გამოჩენილი პოსტმოდერნისტის _ ფრედერიკ ჯეიმსონის (ჟამესონ, 1984,1991) შემოთავაზებული აღწერის ვარიანტის რამოდენიმე მნიშვნელოვან ელემენტს. ჯერ-ერთი, პოსტთანამედროვეობა _ ეს არის უძირო, ზედაპირული სამყარო; იმიტაციების სამყარო (მაგალითად, კრუიზი დისლეილენდის ჯუნგლებში არ უნდა ჩაითვალოს ნამდვილ თავგადასავლად). მეორე, ეს არის სამყარო, რომელიც განიცდის აფექტებისა და ემოციების დეფიციტს. მესამე, დაკარგულია საკუთარი ადგილი ისტორიაში; ძნელია საზღვრის გატარება

წარსულს, აწმყოსა და მომავალს შორის. მეოთხე, სწრაფადგანვითარებად თანამედროვე სამრეწველო ტექნოლოგიების ნაცვლად (მანქანის ასაწყობი კონვეიერები ავტოქარხნებში) პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში გაბატონებულია იმპლოზიური, ადამიანის დამაჩლუნგებელი სამრეწველო ტექნოლოგიები (მაგალითად, ტელევიზია). ასეა თუ ისე, პოსტმოდერნისტული საზოგადოება ძალიან განსხვავდება მოდერნის ეპოქის საზოგადოებისაგან.

ასეთი სამყარო მოითხოვს აზროვნების სრულიად განსხვავებულ წესს. პოსტმოდერნისტული აზროვნების წესის განსაზღვრისას როზენო ეყრდნობა ისეთ პრინციპებს, რომელთაც მიუღებელია პოსტმოდერნიზმისათვის, კერძოდ აზროვნების თანამედროვე წესის მახასიათებლები. ჯერ-ერთი, პოსტმოდერნისტები უარყოფენ განზოგადებებს, რითაც ხასიათდება მრავალი კლასიკური სოციოლოგიური თეორია. ნაცვლად ამისა პოსტმოდერნისტები უპირატესობას ანიჭებენ უფრო შეზღუდულ განმარტებებს ან მათ არ არსებობას. მეორე, უარიყოფა დისციპლინებს შორის არსებული ყოველგვარი საზღვრის გატარების ტენდენცია - იმოდვაწევებ სოციოლოგიაში, სოციალურ თეორიაში, ფილოსოფიაში თუ ბელეტრისტიკაში _ სულერთია (?). მესამე, პოსტმოდერნისტები ხშირად დაინტერესებული არიან უფრო იმით, რომ შოკში ჩააგდონ, გააოგნონ მკითხველი, და არა იმაში, რომ ჩაატარონ მშვიდი, დასაბუთებული აკადემიური დისკურსი. და ბოლოს, ნაცვლად იმისა, რომ ჩაწვდნენ საზოგადოების არსს (ვთქვათ, რაციონალობის ან კაპიტალისტური ექსპლოატაციის შესწავლა) პოსტმოდერნისტები აქცენტირებენ უფრო საზოგადოების პერიფერიებზე.

ცხადია, რომ მოდერნისტებსა და პოსტმოდერნისტებს შორის დავაში ბევრი რამ უნდა გადაწყდეს, მათ შორის სოციოლოგიური თეორიის მომავალიც. თუ გაიმარჯვებენ მოდერნისტები, სოციოლოგიური თეორია XXI ს. პირველ ათწლეულებში უფრო ისეთი იქნება, როგორც ყოველთვის, მაგრამ თუ პოსტმოდერნისტებიმიაღწევენ წარმატებას, მაშინ ეს სამყაროც და ამ სამყაროს სოციალური თეორიაც იქნება სხვანაირი. ყველაზე სავარაუდო სცენარია, ჩვენი სამყარო იქნება წარმოდგენილი, როგორც მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის რამენაირი კომბინაციის სახით და ყოველი ჯურის სოციალური თეორეტიკოსები გააგრძელებენ ბრძოლას ჰეგემონობისათვის.

რეზიუმე.

ეს ნაწილი არის პირველი თავის გაგრძელება და ეძღვნება სოციოლოგიური თეორიის ისტორიას XXI ს. პირველი წლებიდან. ჩვენ დავიწყეთ ამერიკული სოციოლოგიის ისტორიის ადრინდელი ეტაპიდან, რომელიც ხასიათდებოდა ლიბერალიზმით, ინტერესით სოციალური დარვინიზმისადმი და ცხადია, ჰერბერტ სპენსერის გავლენით. ამ კონტექსტში განიხილებოდა ადრინდელი ორი, თეორეტიკოს-სოციოლოგის სამწერისა და ვარდას შემოქმედება. მაგრამ მათ არ დაუტოვებიათ ღრმა კვალი ამერიკული სოციოლოგიის თეორიაში. სულ სხვაა ჩიკაგოს სკოლა ისეთი ადამიანების შემოქმედებით, როგორებიცაა სმოლი, პარკი, თომასი, კული და განსაკუთრებით მიდი, სკოლა რომელმაც დიდი გავლენა იქონია სოციოლოგიურ თეორიაზე, განსაკუთრებით სიმბოლურ ინტერაქციონიზმზე.

ჩიკაგოს სკოლის ბატონობის პერიოდში სოციოლოგიური თეორიების განსხვავებული ფორმები ჩაისახა ჰარვარდში., სადაც სოციოლოგიის განვითარებაში მთავარი როლი შეასრულა პიტირიმ სოროკინმა, ხოლო ამერიკულ თეორიაში ჰარვარდის ლიდერობა განაპირობა ტალკოტ პარსონსმა (შეცვალა სიმბოლური ინტერაქციონიზმი). პარსონსი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ იმით, რომ წარუდგინა ამერიკულ აუდიტორიას ევროპელი თეორეტიკოსები და ეს იყო არსებითად „დიდი თეორიის“ ლეგიტიმაცია აშშ, არამედ იმ როლითაც, რომელიც მან შეასრულა ქმედების თეორიის განვითარებაში, და რაც უფრო მნიშვნელოვანია სტრუქტურული ფუნქციონალიზმის განვითარებაში. 1940-1950 წწ. სტრუქტურული ფუნქციონალიზმის შემდგომ წინსვლას ხელი შეუწყო ჩიკაგოს სკოლია დეზინტეგრაციამ, რომელიც 30-იან წლებში დაიწყო და 50-იანი წლებისათვის დასრულდა.

XXს. დასაწყისში მარქსისტული თეორიის ძირითად დამსახურებად უნდა ჩაითვალი ფრანკფურტის ანუ კრიტიკული სკოლის ჩასახვა. ეს გახლავთ მარქსიზმის ჰეგელიანური ფორმა, მან განიცადა ვებერისა და ფროიდის გავლენა. XXს. პირველ ნახევარში მარქსიზმმა ვერ მიიღო ფართო გავრცელება ევროპაში.

XXს. შუა წლებში სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ბატონობა ამერიკის სოციოლოგიაში ხანმოკლე აღმოჩნდა. ფენომენოლოგიურმა თეორიამ, კონკრეტულად ალფრედ შუცის შემოქმედებამ ყურადღება მიიპყრო მხოლოდ 60-იან წლებში. მარქსისტული თეორია გამორიცხულია ამერიკული თეორიიდან, თუმცა კ.რაიტ მილზი 40-50-იანი წლები ინარჩუნებს რადიკალურ ტრადიციას ამერიკაში. მილზი აგრეთვე უდგას სათავეში სტრუქტურული ფუნქციონალიზმის საწინააღმდეგო კრიტიკას, რომლის ინტენსივობა იზრდება 50-60-იან წლებში. ამ თავდასხმების ფონზე გამოჩნდება კონფლიქტის თეორია, როგორც სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ალტერნატივა. თუმც ის იმყოფება მარქსისტული სოციოლოგიის გავლენის ქვეშ, ის მაინც განიცდის მარქსიზმთან არაადექვატური ინტეგრაციის სისუსტეს. 50-იან წლებში მეორე ალტერნატივად ჩაისახა გაცვლის თეორია, რომელმაც მიიზიდა მცირე, მაგრამ თავდადებული აუდიტორია. მიუხედავად იმისა, რომ სიმბოლურმა ინტერაქციონიზმმა გახარჯა ძველი ენერჯია, ამ დროისათვის ირვინგ ჰომანის დრამატურგიული ანალიზი გაიჩენს მიმდევრებს.

60-70-იან წლებში მნიშვნელოვან მოვლენებს, აქვთ ადგილი ყოველდღიურობის სოციოლოგიის სხვა თეორიებშიც (აქვე უნდა ვიგულისხმოთ სიმბოლური ინტერაქციონიზმი), ფენომენოლოგიური თეორიისადმი ინტერესის ზრდის ჩათვლით, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნომეთოდოლოგიური მოღვაწეობა. ამ პერიოდისათვის მარქსისტული სოციოლოგიის სხვადასხვა ნაირსახეობებმა დაიკავეს თავიანთი ადგილი სოციოლოგიურ თეორიაში, თუმცა ამ თეორიებმა ძლიერ შეილახეს სახელი 80-90-იან წლებში საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების დაშლით. ამ პერიოდის განხილვისას უნდა აღინიშნოს სტრუქტურალიზმისა და პოსტსტრუქტურალიზმის მნიშვნელობის ზრდა, განსაკუთრებით მიშელ ფუკოს შემოქმედებისა. მნიშვნელოვანი მოვლენაა ფემინისტური თეორიის აფეთქება. ფემინიზმისადმი მიძღვნილი გამოკვლევების ნაკადი არ შეწყდება არც 2000 წლის შემდეგ.

ზემოთქმულს უნდა დაემატოს, რომ 80-იანი წლების სხვა სამ მნიშვნელოვან მოვლენას ქონდათ გაგრძელება 90-იან წლებშიც. პირველი, ესაა შეერთებულ შტატებში ინტერესის ზრდა მიკრო და მაკრო დამოკიდებულებასთან. მეორე, ეს არის ევროპაში აგენტ-სტრუქტურული ურთიერთობისადმი ინტერესის ზრდა. მესამე, განსაკუთრებით 90-იან წლებში, ფართომასშტაბიანი სინთეზის მცდელობები.

მოცემული თავი სრულდება რამოდენიმე თეორიის განხილვით, რათა ვიცოდეთ თუ რით შევდივართ XXI საუკუნეში. ალბათ წარმატებები ექნებათ პოლიკულტურული თეორიის განსხვავებულ ტიპებს. პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიები შემდეგაც განვითარდებიან, მაგრამ მას შეიძლება დაუპირისპიდეს სხვა თეორიები და მათ შორის თვით პოსტმოდერნისტული ხასიათი თეორიებიც. პოსტმოდერნთან კავშირი და საზოგადოებაში ცვლილებების ასახვის პროდუქტივისტური გადახრები თავიდანვე მიიქცევენ მოხმარების თეორიის ყურადღებას. რომელმა თეორიამაც არ უნდა ჩაიგდოს ხელში ლიდერობა, ამ დისციპლინაში არ ექნება ადგილი რომელიმე ერთი მიმართულების თეორიის უპირობო გაბატონებას.

წიგნის დარჩენილ ნაწილთან მიმართებაში ახლადდამთავრებულმა ნაწილმა ორი როლი შეასრულა. ჯერ-ერთი, აჩვენა, რომ პირველ თავში წარმოდგენილი თეირეტიკის-კლასიკოსები, _ კონტი, სპენსერი, მარქსი, დურკჰეიმი, ვებერი და ზიმელი _ უშუალოდ ან გაშუალებულად ახდენენ გავლენას შემდგომი დროის სოციოლოგიის განვითარებაზე, და მეორე, მოგვეცა საშუალება ისტორიული კონტექსტის კუთხით გავცნობოდით სხვა კლასიკოსებს, რომელთაც ცოტა მოგვიანებით დეტალურად შევხებით ესენია _ ვებლენი, მანჰეიმი, მიდი, შუტცი და პარსონსი.